ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 15 ივნისი, №11 (6496)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი



## მამუკა ბახტაძე – კახეთი ხდება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული თვალსაზრისით და მნიშვნელოვანია, ეს მიმართულება უფრო გააქტიურდეს

კახეთი ხდება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული თვალსაზრისით და მნიშვნელოვანია, რომ ეს მიმართულება კიდევ უფრო გააქტიურდეს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ საერთაშორისო საინვესტიციო რეგიონული ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, კახეთი არის უნიკალური ისტორიის მატარებელი, ძალიან ბევრი კულტურული ძეგლი, რითაც თითოეული ქართველი ამაყობს, სწორედ ამიტომ, კახეთში ინფრასტრუქტურის განვითარებას ენიჭება განსაკუთრებული როლი.

მისივე თქმით, სასიხარულოა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც დაიგეგმა კახეთში, მიმდინარეობს გრაფიკის მიხედვით.

„ყველას მინდა მოვუწოდო, მათ შორის, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომ სწორედ ეს ტემპია შესანარჩუნებელი, რათა ინფრასტრუქტურა კახეთში რაც შეიძლება დროულად განვავითაროთ. საშუალება გვქონდეს ყველა სოფელში, ყველა დასახლებულ პუნქტში, უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ. ამასთან ერთად, ვახორციელებთ და 2020 წლის ზაფხულამდე დამთავრდება მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების ცენტრების რეაბილიტაცია, მათ დაუბრუნდებათ ისტორიული იერსახე, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ტურისტულ პოტენციალს ამ ულამაზეს კუთხეში. ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ხორციელდება, არ ემსახურება მიზანს, რომ ჩვენ რომელიმე ერთი მიმართულება განვავითაროთ მხოლოდ. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი არის ინკლუზიური ზრდა. ისეთი ტიპის ეკონომიკური ზრდა, რომელიც შეეხება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. დარწმუნებული ვარ, კახეთის რეგიონი იქნება ყველაზე წარმატებული რეგიონი ამ პოლიტიკის რეალიზაციის შედეგად, რადგან სწორედ კახეთში არის ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, აქ მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა თავის ოჯახში იგრძნოს ეკონომიკური წინსვლა. ინვესტორებს მინდა, მოგიწოდოთ აქტიურობისკენ უფრო მეტად ამ ულამაზეს კუთხეში და გისურვოთ წარმატებები“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.



## მევენახე, რომელიც ვენახის რეგისტრაციას არ მოახდენს, ყურძნის ჩაბარება-რეალიზაციას ვერ შეძლებს

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე, რომელსაც მერიის სამსახურების და აიპების ხელმძღვანელები და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლები ესწრებიან, განხილვის მთავარი თემა იყო ვენახების რეგისტრაცია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა ვრცლად ილაპარაკა ვენახების რეგისტრაციის მნიშვნელობაზე, რადგანაც მიმდინარე წელს რთვლის პერიოდში ყურძნის ჩაბარება-მიღება მხოლოდ ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ვენახის ამონაწერის საფუძველზე მოხდება და გაუქმდება წარმომადგენლების მიერ შესაბამისი ცნობების გაცემა.



ყველა სოფელში მოვლენ ღვინის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები და განხორციელდება ვენახების რეგისტრაცია, წარმომადგენლებმა ყველაფერი უნდა იღონოთ იმისათვის, რომ თქვენს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ვენახები დარეგისტრირდეს და მევენახეებს ხელი არ შეეშალოთ ყურძნის ჩაბარება-რეალიზაციაში.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის თათბირს ესწრებოდა ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის კადასტრის სამმართველოს უფროსი დავით მაღრაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოში მაღალხარისხოვანი ყურძნის, ღვინის და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების განვითარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილია ყვარლის მუნიციპალიტეტში „ქინძმარაულის“ და „ყვარლის“ გურჯაანის მუნიციპალიტეტში „მუკუზნის და ახაშენის“ მიკროზონებში 2019 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის ჩაბარება-მიღება განხორციელდეს ვენახის ამონაწერის საფუძველზე და გაუქმდება შესაბამისი ცნობების გაცემა.

ამასთან, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების „ქინძმარაულის“, „მუკუზნის“, „ყვარელის“ და „ახაშენის“ დასამზადებლად განკუთვნილი საფერავის ჯიშის ყურძნის მოსავლიანობა 1 ჰა ვენახიდან განისაზღვრა არაუმეტეს 10(ათი) ტონის ოდენობით. აღნიშნულზე მეტი მოსავლიანობის შემთხვევაში მიღებული ყურძნისგან დამზადდება სხვა ღვინო მასალები (მაგალითად, საფერავი, ალაზნის ველი და ა. შ.) და სარეალიზაციო ფასიც განსხვავებული იქნება.

დავით მაღრაძემ თხოვნით მიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაცია მიაწოდონ მევენახეებს და ამ დარგში დასაქმებულ კომპანიებს, რათა რეგისტრაციის გარეშე არ დარჩეს ერთი ჰექტარი ვენახიც კი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა შეკითხვებით მიმართეს დავით მაღრაძეს, რაზედაც სრულყოფილი პასუხები მიიღეს ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

## სახელოვანი ლოტბარის საფლავი განახლებული და კეთილმოწყობილი დაუბრუნდა საზოგადოებას

ჩვენი ქვეყნის ისტორიას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მრავლად გვყავდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უდიდეს საქმეებს აკეთებდნენ ერის კულტურული განვითარებისათვის. ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობა კი მოკრძალებული ცხოვრების წესიდან გამომდინარე საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გასულ საუკუნეში ჩვენს რაიონში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალმხრივი ნიჭით, პატიოსნებითა და ვაჟკაცობით. ეს გახლდათ შალვა ქვაჭრელიშვილი, ბრწყინვალე მომღერალი და ლოტბარი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური სიმღერების შექმნასა და განახლებაში.



სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი მივიწყებული იყო და მისი ღვაწლი დაუფასებელი.

2013 წლის 15 ოქტომბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროს, ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის ირაკლი მათიკაშვილის თაოსნობით გაიმართა საღამო, რომელიც შალვა ქვაჭრელიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

საღამოს ესწრებოდნენ ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლები: „რუსთავი“ ბატონ ანზორ ერქომაიშვილის და „ბასიანი“ ბატონ გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით, რომელთაც არაერთი სიმღერა შეასრულეს ყვარლელებისათვის.



„ეს ღონისძიება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ გარდაცვალების შემდეგ მაინც დავაფასოთ მისი ღვაწლი და მომავალ თაობებს გავაცნოთ შალვას შემოქმედება და მოღვაწეობა. ძნელი დასაჯერებელია, რომ გვყავდა ამხელა პიროვნება, რომე-

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



# სახელოვანი ლოტბარის საფლავი განახლებული და კეთილმოწყობილი დაუბრუნდა საზოგადოებას

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ლიც ისეა მივიწყებული, რომ საფლავის ქვაც კი არა აქვს. ამასთან დაკავშირებითაც გვაქვს გეგმები" – აღნიშნა ირაკლი მათიკაშვილმა თავის სიტყვაში.

თქვა ბატონმა ირაკლიმ და განახორციელა კიდევაც შალვას საფლავის კეთილმოწყობის პროექტი. საქველმოქმედო კონცერტით, შალვას ძმისშვილიშვილებისა და დისშვილიშვილების ფინანსური მონაწილეობით ღვაწლმოსილი ლოტბარის საფლავი დღეს უმაღლეს დონეზეა კეთილმოწყობილი.

საფლავის ქვაზე შალვას პორტრეტის და ანსამბლის წევრების ამოკვეთისათვის ძალისხმევა არ დაიშურა ჩვენმა უნიჭიერესმა მხატვარმა და მოქანდაკემ ბეჟან კობიაშვილმა.

9 ივნისს შალვას საფლავთან შეიკრიბნენ ყვარლის ინტელიგენციის წარმომადგენლები: ირაკლი მათიკაშვილი, მაია ზარდიაშვილი, იზოლდა იოსებიანი, მაია ხვთისაურიშვილი, ბეჟან კობიაშვილი, მალხაზ ხიზანიშვილი, შალვას ანსამბლის წევრები: იოსებ ფუტკარაძე, ალიკა ჩიხიაშვილი, ტარიელ რაჯებაშვილი, ომარ წერეთელი, თენგიზ წყალობაშვილი, შალვას ძმების და დების შვილიშვილები აკაკი, ვაჟა, გელა და კობა ქვაჭრელიშვილები, დავით ბუცხრიკიძე.

გავაზისა და ჭიკაანის წინამძღვარმა, მამაო აბრამმა პარაკლისი გადაიხადა და შალვას საფლავი აკურთხა. საფლავის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებაში მონაწილენი დალოცა და დიდხაანს სიცოცხლე უსურვა.

ანსამბლის წევრებმა შეასრულეს სიმღერა – წუთისოფელი. შემდეგ შალვას შთამომავლებმა დამსწრე საზოგადოება სადილზე მიიწვიეს, სადაც შალვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროინდელი ამბები გაიხსენეს.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**



# შალვა ქვაჭრელიშვილს

არაფერი სურდა სიმღერების გარდა.
დაიხურა მისთვის სცენის ჭრელი ფარდა.
თავის სიმღერებში „ცალუღელა ხარი",
ახლაც ცოცხლობს ვიცი და ჩვენს გვერდით არის.

ხმა – ბულბულის მსგავსი, ენა – სირინოზის...
ისევ იმღერს ვინმე, მაგრამ იმღერს როდის?!
გაბზარულა გული, გაბზარულა ხმები...
ხეო, ცხოვრებისა! რა ადვილად ხმები!

ნიჭიერი კაცის – ნიჭიერი სიტყვა,
სიმღერაში თქმული, სიმღერითვე ითქვა!
ერისკაცი მსგავსი, იქნებ ბევრი იყოს!
ვნატრობ, ცხოვრებისგან ის არ გაირიყოს!

არასოდეს ვექცეთ მონად უნიჭობას,
თორემ ხელს შევუწყობთ ნიჭის ხმობა-ჭკნობას!
თმაჭაღარა ბულბულს ხელი გულზე ედო,
ცალუღელა ხარად რად დატოვე, ბედო?!

მხოლოდ სიმღერისთვის გული რომ მიენდო,
ალბათ, ნიჭიც მისთვის დაანათლე, ბედო!
თმაჭაღარა კაცის ახალგაზრდულ სულში,
წკრიალებდა ხმები, ხმა – ჩამწვდომი გულში!

სიმღერებს გაანდო: სევდა, დარდი, ფიქრი...
მან იცოდა კარგად, დრო რომ სწრაფად მიქრის!
ამიტომაც ერთ დღეს არ ტოვებდა ისე,
სიმღერებში ეთქვა, გულს რაც მოხვდა, მყისვე!

მეოცნებე რაინდს სიმღერები დარჩა,
მისთვის არ ფასობდა ოქრო-ვერცხლი, ფარჩა!
მისი სიმღერები თვალს ახლიდან ახელს,
ვუფრთხილდებით მისგან დანატოვარ სახელს!

არ დატოვა ოქრო, ალმასი და ფარჩა,
შალვა ქვაჭრელიშვილს სიმღერები დარჩა!

**იზოლდა იოსებიანი**

# აშშ-ის მთავრობა ქართული ფერმების გამსხვილებაში 10 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს

საქართველოს მეცხოველეობის განვითარების ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატები 10 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

პროექტს, რომლის პრეზენტაციაც 28 მაისს გაიმართა აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ერთობლივად განახორციელებენ.



აღნიშნულთან დაკავშირებით პროექტის ტექნიკურმა დირექტორმა, ლაშა ავალიანმა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, თამარ თორიამ საქართველოს პირველი არხის გადაცემა „ბიზნესპარტნიორში" სტუმრობისას ისაუბრეს. გადაცემაში მეცხოველეობის სექტორის განვითარების პერსპექტივები განიხილეს.

ავალიანის განცხადებით, პროექტის პრიორიტეტი ქვეყნის მასშტაბით არსებული კომერციული ფერმების გამსხვილებაში მდგომარეობს, რაც ე.წ. ფერმიდან სუფრამდე საწარმოო ჯაჭვის კონცეფციის მიხედვით განხორციელდება. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ცხოველური წარმოშობის პროდუქციის მოცულობისა და ხარისხის ზრდას ისე, რომ ადგილობრივი ნაწარმი შიდა ბაზრის გარდა ექსპორტზეც გავიდეს. პროექტი დაეხმარება როგორც მსხვილ ფერმებს გაძლიერებაში, ასევე წვრილ ფერმებს გამსხვილება-განვითარებაში, თუმცა დამწყებ ბიზნესებს. ე.წ. სტარტაფებს არ მოიცავს.

„ინვესტიცია განხორციელდება მეცხოველეობაში, კერძოდ რძისა და ხორცის სექტორში და ფერმიდან სუფრამდე პრინციპის განხორციელებას შეუწყობს ხელს, რათა საქართველოში ადგილობრივი წარმოება იყო უსაფრთხო და ხარისხიანი, გაიზრადოს მისი რაოდენობა, ასევე ხელი შეუწყოს ექსპორტს. პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება და არსებულ კომერციულ ფერმებზე იქნება ფოკუსირებული. საშუალო დონის ფერმების დახმარებაზე შეზღუდვა არ არის, უბრალოდ ფერმა უნდა იყოს კომერციული და ბაზარზე ოპერირების გარკვეული გამოცდილება ჰქონდეს. სტარატაფებთან დაკავშირებით რისკები მაღალია", – განაცხადა ავალიანმა.

პროექტში ფერმერების ჩართვას ფერმერთა ასოციაცია უზრუნველყოფს, რომელიც თავის მხრივ, მცირე სექტორულ ასოციაციებსაც მოიცავს და მეცხოველეობაში ჩართულ ეკონომიკური ერთეულებსა და ქვეყნის რეალობას კარგად იცნობს. ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის განმარტებით, პროექტი ერთობლივი კონსროციუმების ჩამოყალიბებასაც ისახავს მიზნად, რადგან მისი მთავარი იდეა სწორედ არსებული ფერმერული მეურნეობების გამსხვილება და მათი ცოდნის ამაღლებაა.

„ჩვენი მონაწილეობა პროექტში ფერმერების ჩართვის მობილიზებას, ასევე არსებული ასოციაციების გაძლიერებას გულისხმობს. საქართველოში არსებობს რამდენიმე სექტორული ასოციაცია რძისა და ხორცის მიმართულებით. ვნახოთ, შემდგომში როგორ განვითარდება პროექტი, შეიძლება საუბარი ერთობლივი კონსორციუმების ჩამოყალიბებასაც შეეხოს, რადგან პროექტის მთელი იდეა არის ის, რომ მოხდეს არსებული მცირე მეურნეობების გამსხვილება, გაძლიერება და ტექნიკური ცოდნის მიწოდება", – განმარტა თორიამ.

პროექტს საგრანტო ნაწილიც აქვს, თუმცა მისი დეტალები ჯერ დასაზუსტებელია. სესხების გაცემას პროექტი არ გულისხმობს, თუმცა ლაშა ავალიანის ინფორმაციით, ერთი-ერთი კომპონენტი ფერმერების სესხის გამცემ და სადაზღვევო ინსტიტუტებთან დაკავშირებასაც მოიცავს.

„გრანტები სავარაუდოდ 50 პროცენტიანი თანადაფინანსების პრინციპით იქნება, თუმცა დეტალებზე საუბარი ამ ეტაპზე გამიჭირდება, რადგან პროექტი საწყის ეტაპზეა და წინ ჩვენს შესაძლო პარტნიორებთან კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს", – განაცხადა ავალიანმა.

**ნინო ფაცურია**

# აგროპროექტის „დანერგე მომავალი" ქვეკომპონენტი – კენკროვანი კულტურები

აგროპროექტის „დანერგე მომავალი" ბაღების თანადაფინანსების ქვეკომპონენტზე – „კენკროვანი კულტურები", პირველადი განაცხადების მიღება განახლდება 2019 წლის 1 ივნისს და გაგრძელდება ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

„კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი" ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების 100% დაფინანსებას 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-ს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

ქვეკომპონენტი ხორციელდება საქართველოს შემდეგ რეგიონებში:

ქვეკომპონენტი ხორციელდება საქართველოს კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტი (შემდგომში – კენკროვნების ქვეკომპონენტი) ფარგლებში, კენკროვანი კულტურების გაშენება შესაძლებელია დაფინანსდეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. ფოთი";

**კენკროვნების ქვეკომპონენტის კულტურების ნუსხა რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | კენკროვანი კულტურები |
|---|---|
| კახეთი | ჟოლო, მაყვალი. |
| შიდა ქართლი | ჟოლო, მაყვალი. |
| ქვემო ქართლი | ჟოლო, მაყვალი. |
| მცხეთა მთიანეთი | ჟოლო, მაყვალი. |
| სამცხე-ჯავახეთი | ჟოლო, მაყვალი. |
| იმერეთი | ლურჯი მოცვი, მაყვალი, ჟოლო, |
| რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | ლურჯი მოცვი, მაყვალი, ჟოლო. |
| სამეგრელო -ზემო სვანეთი | ლურჯი მოცვი, მაყვალი, ჟოლო. |
| გურია | ლურჯი მოცვი, მაყვალი, ჟოლო. |
| აჭარა | ლურჯი მოცვი, მაყვალი, ჟოლო. |

**ფინანსური დახმარება**

ქვეკომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება ითვალისწინებს მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურის ბაღის გასაშენებლად ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას დაფინანსების სახით, მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურების ნერგების, სარწყავი სისტემის მოწყობის ან/და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენის მიზნით.

**დაფინანსდება 100%-ით**

- დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100%, როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში;
- დაფინანსდება ერთ ბენეფიციარზე, ფიზიკური პირის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 100%, მაგრამ არაუმეტეს 3 000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
- დაფინანსდება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%, განსაზღვრულია თითოეული მასალისათვის მაქსიმალური რაოდენობა.

**კენკროვანი კულტურების კომპონენტით დასაფინანსებელი ბაღის გაშენებისათვის საჭირო მა-**

| მასალების ჩამონათვალი: | შეზღუდვები |
|---|---|
| სამულჩე ფირი | 0,5 ჰექტარზე გაანგარიშებით არაუმეტეს 2 500 $მ^2$. |
| შუა ბოძები | 0.5 ჰექტარზე გაანგარიშებით არაუმეტეს 250 ცალი. |
| საყრდენი ბოძები | 0.5 ჰექტარზე გაანგარიშებით არაუმეტეს 40 ცალი. |
| მავთული (მაქს. 2.4 მმ) | 0,5 ჰექტარზე გაანგარიშებით არაუმეტეს 260 კგ. |
| ღუზები | 0.5 ჰექტარზე გაანგარიშებით არაუმეტეს 40 ცალი. |
| საჭიმები | 0.5 ჰექტარზე გაანგარიშებით არაუმეტეს 160 ცალი |

**ქვეკომპონენტის ბენეფიციარის შესაბამისობის კრიტერიუმები**

კენკროვანების ქვეკომპონენტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს:

- საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;
- საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი.

**ფიზიკური პირის შემთხვევაში**

ფიზიკური პირის დაფინანსების შემთხვევაში, ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არანაკლებ 0.15 ჰა-დან არაუმეტეს 0.5 ჰა-ის ჩათვლით კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების დაფინანსება.

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (რომლის საკუთრებაშია მეპაიეების მიერ პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) მიერ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობი განისაზღვრება თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არაუმეტეს 0,5 ჰა-ის გადაანგარიშებით.

სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს, რომელიც დაფინანსებას მიიღებს არანაკლებ 5 ჰექტარზე ბაღის გასაშენებლად, უსასყიდლოდ გადაეცემა პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო 1 ერთეული სტაციონალური მაცივარ-კონტეინერი, რომლის ტევადობა, საშუალოდ, 20 ტონაა.

პროგრამას ახორციელებს „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო".

დაწვრილებითი ინფორმაციის, პროგრამით სარგებლობის ან სხვა დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.

https://apma.ge

ახლახანს მშვენიერ ქალბატონს, პოეტ ნუნუ ლაღიძეს 65 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ მას იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, კვლავ მრავალ წარმატებებს საკუთარ შემოქმედებაში.

**გაზეთ „ყვარლის“ რედაქცია**



# ორიოდ სიტყვით...

ნუნუკა ლაღიძის პოეზია სიყვარულის საგალობელია. ხან სევდიანი, მოგონებებით დატვირთული, ხან იმედიანი და მაინც მწუხრის ზარების რეკვის მსგავსი. მისი ლექსები იმედგაცრუებული, ოცნება დამსხვრეული ქალის ამონაკვნესია.

„ჩემი ოცნების მორევში
მხოლოდ შენ იყავ წმინდა.
მაგრამ რაღაცამ შემაკრთო,
რაღაცამ შემაშინა“.

ამბობს პოეტი ქალი და უნებურად გესმის დაობლებული შვლის ნუკრის ჩივილი. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ იგი შვებას სანთლების დანთებაში პოულობს და მისტირის ფერდაკარგულ ოცნებებს, სევდა მორეულ თეთრ მაგნოლიას. ცდილობს, დაივიწყოს ის ლამაზი დრო, რომელსაც ზღაპართ სამყარო ჰქვიან.

ნუნუკა ლაღიძის პოეზია ყურადღებას იპყრობს არა მარტო იდეური თვალსაზრისით, არამედ მხატვრულადაც. ფრაზა ფრთიანია, რიტმულია. აზრს სიმკვეთრეს აძლევს პოეტური შედარებები, ეპითეტები.

რად ღირს თუნდაც:

„ჩემი ოცნებები... ფერი დაჰკარგვიათ
და წლებს ჩასწვნია ვაზის რტოსავით“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნუნუკა ლაღიძის სახით ქართულ პოეზიას შეემატა მგრძნობიარე, ქართულ სიტყვასთან მორკინალი, თვითმყოფადი პოეტი ქალი.

**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი**

## 65 წელი

სამოცდახუთი წელი...
მხრებზე დაყრილი წლები.
მზის გზას ვაგრძელებ რწმენით,
გავლილი წლების თმენით.
ამაყად მივაბიჯებ...
შვილების მზერით ვტკბები...
თავს დამდგომია უფლის
მადლი – ცხოვრების მშვენი.
ლაღი ხარ!.. ლაღი!.. ნუნუ!..
ერთხელ მითხარი რცხვენით.
ვცდილობ ვირწმუნო სიტყვა...
სიტყვა გულიდან... წრფელი.
სამოცდახუთი წელი,
ალბათ ისევე მშვენის,
ვით გაზაფხულის დილას
ვარდები ნაირფერი.
სამოცდახუთი წელი...
მხრებზე დაყრილი წლები.
ამაყად მივაბიჯებ
შვილიშვილების რწმენით.

## აპრილი მეჯლისს მართავს...

მწვანე ფერს ფერი ვერ სჯობს,
სიცოცხლის ძაფებს ერწყმის.
ცად გაფენილა ფარჩა
მოურთავთ ზურმუხტებით.
აპრილი მეჯლისს მართავს...
შეურჩევია ველი.
მიუბნევია ირგვლივ
პეპლები მრავალფერი.
შესამოსელი ტყემალს
მოურთავს გედის ფერით,
მის საუცხოო კაბას
თეთრი მარმაში შვენის.
ატამს კი ვარდისფერით
შეუმოსია ფრთები,
ვარდისფრად შეფაკლია
ღაწვები ბროლისფერი.
ნუშს მოტრფიალეს ქართან,
თავზე ადგამენ ფატას
ვარდისფერ ქობით შემკულს,
ფრთები მიუგავს ფარჩას (აფრას)
ალუბალს უფრო თეთრი
მხარს მოსასხამი შვენის
თეთრი მტრედების ფერით
ყელმოღერებით მღერის.
– და ფრიალებენ დები
ქარი უფრიალებთ კაბას.
ველსაც ზურმუხტი შვენის
აპრილი მეჯლისს მართავს.

## ალუბლის ყვავილები

**/ჩემს მეუღლეს გ.ქანდაურიშვილს/**

თავს დამფარფატებს პეპლად
ალუბლის ყვავილეთი,
მიმოფანტულა ყველგან
კუნწულ-კუნწულა ფრთები.
ისე ახლოა ჩემთან,
ხელით შეხებას ვლამობ,
მოგონებათა ჯაჭვი
შემომხვევია... არ მთმობს.
ყურში ჩამესმის ტკბილი,
გიტარის სიმთა ჟღერა.
ალუბლის რტოებს არხევს
ნაზი მუსიკის მღერა.
მოგონებები ძველი,
თავბრუდამხვევი მზერა.
ცისფერი თვალთა ფერი
ბაგენი ალისფერა.
თავს დამფარფატებს პეპლად
ალუბლის ყვავილეთი
მიმოფანტულა ყველგან
კუნწულ-კუნწულა ფრთები.

## და მაინც ისევ!...

და მაინც ისევ!... შენთან მოვდივარ!...
თუნდ ღამე იყოს... თუნდ დღე მზიანი
და შორი გზები ისე ახლოა,
ჩემს გულის გზებთან თანაზიარი.
– და მაინც ისევ... შენთან მოვდივარ!
ვიწყებ დილიდან ჩაცმას და ვბორგავ.
ხან გზად მიმავალს ისე მომხიბლავ,
გული საგულეს აღარ მაქვს მორჩა.
ხან კი წამოსვლას აღარა ვფიქრობ,
მსურს დაგივიწყო, ვინა ხარ, რა ხარ?
რატომ მომძახი, ან რატომ მიხმობ,
შენ ხომ უცხო ხარ სხვა ხარ და სხვა ხარ!...
– და მაინც ისევ მოვფრინავ შენკენ...
ერთ დაძახილზე ფრთებ-გამოსხმული,
ვივიწყებ წყენას, ვივიწყებ წარსულს,
ვივიწყებ სიტყვას, თქმულს დაართქმულს.
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
და მაინც ისევ... და მაინც ისევ...
ფიქრებ მორეულს, კვლავ სევდა (მახრჩობს).

## ჩემო მოტრფიალე

ერთი შემოხედვა ჩუმი და უენო,
ცრემლები თვალთაგან უცხოდ მოკიაფე.
ნაძვების სურნელი... ნარინჯის ფერები,
როგორ მომენატრე... ჩემო მორტფიალე.
გული დაჭრილია ბასრი იარაღით,
თოვლის ფანტელებს ქარი აფრიალებს.
წლებმა ნაღვლიანმა გრძნობა ვერ ჩააქრო,
მოდი, მომეხვიე... ჩემო მოტრფიალე.
ქუჩა მოკირწყლული... ვარდების ფერები...
გზად თან მომყვებიან, უცხოდ მოშრიალე.
ერთი შემოხედვა ნაცნობი ღიმილით,
მოდი, მომეხვიე... ჩემო მოტრფიალე!
გზები აბნეული... ტყეში გაბნეული,
მთვარის შუქს მიჰყვება ცრემლი მოკიაფე.
ერთი შემოხედვა, წლების ნაფიქრალი,
მოდი, მომეხვიე... ჩემო მოტრფიალე.

## დავრჩი უფლის ამარა

ფრთა – მოტეხილი მტრედივით,
ფრთხიალ-ფრთხიალ ვიარე.
ხან აღმართი მხვდებოდა,
ხან კლდე გადავიარე.
ვერ ვიპოვე ბილიკი,
ტყეში სად არ ვიარე,
ეკლიანმა ბარდებმა
ფრთები დამიზიანეს.
არსად იყო მშველელი,
არც გულით მოზიარე.
დავრჩი უფლის ამარა,
ვარ უფლის მოტრფიალე.

## მუზა

მე დიდ დედოფალს დავუძახებდი...
მუზას... ბუხართან მოფრენილს – ღამით.
ფრთების ფრიალით, ფარჩის შრიალით,
მუზას შემკობილს ფიქრთა ფრთხიალით.
– სიტყვებით უხვით... გრძნობით და ვნებით.
გულის წუხილით... ტანჯვით და კვნესით.
კალთა მოქარგულ იასამნებით...
თმებში ჩაწნული თეთრი ვარდებით.
– მე დიდ დედოფალს დავუძახებდი
მუზას ბუხართან მოფრენილს ღამით
მთვარის ციალთა ფერთა ფარფატით,
ალისფერ ცეცხლთან უცხო თამაშით.
– მე დიდ დედოფალს დავუძახებდი
მუზას ბუხართან მოფრენილს... ღამით.

## მინდა ასე ვფრიალებდე...

ისე როგორც ტყემლის ყვავილს,
ნუშის ყვავილს, ატმის რტოებს.
ღერა-ღერა აცლის ფურცლებს,
ნაზი სიო თავმომწონე.
ალმა-დალმა აფრიალებს
ტყემლის ფიფქებს, ფრთა-ფარფატას,
ატმის რტოებს, ნუშის რტოებს
ფარჩას აცმევს, თავზე ფატას.
მინდა ასე ვფრიალებდე
თმებში ატმის ყვავილებით.
საქორწინო გვირგვინით და
საპატარძლო სამოსელით.

## სად ხარ?!...

ნაძვებს გაუშლიათ მწვანე კარვები...
გირჩები აუნთიათ სანთლად.
ალისფრად ანათებენ ციცინათელები
ვარსკვლავნი ცის თაღებს ქარგავს.
ცად გაფრენილა ფიფქები ხალიჩად,
ცრემლები აუკინძავთ მძივად,
ღრუბელს სევდიანს გულში ჩაუკრავს,
უმღერს ქარიშხლიან წვიმას.
ქარებს გაფრენილს გზები არევიათ,
მანტოს ფრიალი შვენით.
გადარეულა თეთრი მაგნოლია,
რატომ დასცვივდათო ფრთები.
ნაძვებს გაუშლიათ მწვანე კარვები
გირჩები აუნთიათ სანთლად.
გზას მინათებენ ციცინათელები
მაინც ვერ გპოულობენ, სად ხარ?!...

## გულო, გულო რა მოგდის?...

თითქოს მიმზერ საიდანღაც,
ფანჯრებს ცრემლი ჩამოსდის.
გულიც ისე დაიძაბა...
გულო, გულო რა მოგდის?...
ისე ახლოს მოხველ ჩემთან,
შენი სუნთქვის ხმა მესმის.
მაგ თვალების წამ-წამთ რხევის
ხმა ყურებში ჩამესმის.
შემეფაკლა ღაწვები და
ფანჯრებს ცრემლი კვლავ მოსდის.
გულთან ისე ახლოს მოხვალ,
გულო, გულო რა მოდგის?
თითქოს მიმზერ საიდანღაც,
ცრემლი ღვარად ჩამომდის.
გული?... გულიც გაინაბა,
ილოდება... რა მოსდის!...

## მზე მოდის

ცის თაღი... ღრუბელთა ფორიაქი...
თეთრ ფთილებს ირგებს ქათიბად.
ვარდისფერებს და ცისფერებს
მაქმანებს ირჩევს ხანდისხან.
ზურმუხტის ფერებს ღრუბლებში აქსოვს,
ფირუზის მძივებს მზეს ასხამს დილით.
ხან წვიმის წვეთი გაირბენს ტატნობს,
ხან ცისარტყელა ასხივებს ღიმილს.
ისევ ღრუბელი... შავი ღრუბელი...
– მაგრამ მოიცათ!... თეთრ ფთილებს ვხედავ,
ნარინჯისფერი აეკრა ტატნობს,
მზის სხივი კვლავაც დაასკდა ტაფობს.
ცაზე კი ისევ ფორიაქია...
ღრუბლის ფთილები კოშკებს აგებენ,
ფარჩებს იხდენენ, ოქროსფერ ფარჩებს
და წვიმის წვეთებს თოკზე აფენენ.
ცაზე კი ისევ ფორიაქია...
ტახტი უბოძეთ... დედოფალია...
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
მზე მოდის...

## თოვლს ჩასძინებია...

მაღლა მთის კალთებს შევცქერი...
თვალები აწყდება ბილიკებს.
სადღაც თოვლს ჩასძინებია,
იცრემლება და ვტირი მეც.
ია-ენძელას კრეფაში,
კლდეებს ჩამოვყე ბარადა.
რას იფიქრებდა დუშმანი,
მარტოს მხედავდეს... ცალადა.
ისევ მთებისკენ მიიწევს,
ეს გული ჩემი ტიალი!
ბილიკებს ველარ ვპოულობ
ყაყაჩოს კაბის ფრიალში.
აღმართს მივყვები ბილიკებს
თმებში ჩაწვნია ყაყაჩო,
ია-ენძელებს მოგიბნევ
და გულის გულში ჩაგაქსოვ.

## მაისის წვიმა

როგორ მომენატრე... როგორ!...
გული შენთან ყოფნას ითხოვს.
ხეებს საშინლად აწვიმთ...
ფრთები დასცვივდათო თითქოს.
ფარდას აფრიალებს ქარი...
წვიმას ფანჯრებში აქსოვს.
ალბათ გამიღიმებს ზეცა,
მზის სხივთა სითბოს ვნატრობ.
– ისევ გრუხუნია ცაზე...
ელვა ათინათებს ღამით.
წიმს და არ იღლება წვიმა...
სულსაც მარტოობა აწვიმს.
როგორ მომენატრე... როგორ!...
გული შენთან ყოფნას ითხოვს.

## ვარსკვლავის ციალი

„ნაირა ბადურაშვილის
მოძღვნილი სიტყვებიდან“.

თურმე ერთხელ ზეცას მოსწყდა,
ცის ვარსკვლავთა ციალი.
ნამად იქცა და ბალახებს
გულს ჩაეკრა ფრიალით.
მიიხედა... მოიხედა...
მწვანე ფოთოლს ცქრიალას
ესაუბრა... ეთამაშა...
გულს დარდი მოუფონა.
სიკეკლუცით ტოლს არ უდებს
არც ვარდს და არც ენძელას.
ოქროსფერად ციმციმებს
და ალისფრად ენთება.
ვარსკვლავების ფერთა ციალს,
„ბროწეულის გოგონას„
სიყვარული, სილამაზე
და სიკეთე მოჰქონდა.

**ნუნუ ლაღიძე**



კალამოსანი



# დაუვიწყარი კურიოზი

მსურს გავიხსენო კურიოზი, რომელიც სამი წლის წინ შემემთხვა.

2016 წლის ცხელ ზაფხულს ანსამბლი „კახეთი“, რომლის ერთ-ერთი მოცეკვავე ვიყავი, უნგრეთში – „ტრადიციული ცეკვების საერთაშორისო ფესტივალზე“ მიიწვიეს.

მთელი წელიწადი მოუთმენლად ველოდი ივნისის დადგომას, რადგან ჩემთვის ამ ფესტივალს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. და აი,როგორც იქნა დადგა სანატრელი ივნისი! ჩავალაგე დიდი ჩემოდანი, რომელიც სავსე იყო ახალი ტანსაცმლით, ცეკვის ფორმებით, თავის მოვლის საშუალებებით და ა.შ.

დილით ადრიანად გამეღვიძა (ფაქტიურად მთელი ღამე არც მძინებია,იმდენად ვიყავი აღსავსე ემოციებით). დავემშვიდობე ოჯახის წევრებს და ჩემმა ახლობელმა მოგზაურობის საწყის წერტილამდე ანუ გურჯაანამდე, თავისი მანქანით მიმიყვანა. ბავშვები თავის ჩემოდნებს ავტობუსში ალაგებდნენ.

ჩემი ჯერიც დადგა, მაგრამ სად არის ჩემოდანი? სახლში დარჩენის ალბათობა არ იყო, რადგან ზუსტად მახსოვდა, მამაჩემმა როგორ დაამაგრა მანქანის სახურავზე. გზაზე სწრაფად მოვდიოდით და ვიფიქრეთ, რომ გადმოგვივარდა. ავტობუსის გასვლამდე 1 საათი იყო დარჩენილი. მთელი გზა შეამოწმეს, ყველგან ეძებდნენ ჩემი ახლობლები, მაგრამ ჩემოდანი არსად ჩანდა. ძალიან ვნერვიულობდი, განვიცდიდი. ცეკვის ფორმები გურჯაანში მიშოვეს, მაგრამ მე ჩემი მინდოდა! ავტობუსი დაიძრა. წავედი უცხო ქვეყანაში სხვისი ნივთებით. გზა ძალიან დიდი და დამღლელი აღმოჩნდა. უნგრეთში დღის რუტინაც საშინელი გვქონდა, დასასვენებლად ვერ ვიცლიდით, სულ ცეკვა ,ცეკვა და ცეკვა.. უნგრეთში ჩასვლიდან 10 დღის შემდეგ დედამ დამირეკა და სასიხარულო ამბავი შემატყობინა, ჩემოდანი ვიპოვეთო. გაინტერესებთ სად იყო ჩემოდანი 10 დღის განმავლობაში? სოფელ გავაზში ჩამოვარდნილა და ადგილობრივ მაცხოვრებელს უპოვია, რომელიც მინდვრიდან შინ ბრუნდებოდა. შემდეგ პოლიციაში განუცხადებია და მთელი ეს დრო იქ ყოფილა ჩემი ჩემოდანი...

მიუხედავად უცხო ქვეყანაში სხვისი ნივთებით წასვლისა, მაინც არაჩვეულებრივი დრო გავატარე, გავიცანი სხვადასხვა ეროვნების ხალხი, დავათვალიერე ძალიან ლამაზი ქვეყანა და იქაც ბევრი ტანსაცმელი ვიყიდე...თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ეხლა სიცილადაც არ მყოფნის..

ახლა, რადგანაც საშუალება მომეცა, სამი წლის შემდეგ, გაზეთის მეშვეობით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმ კეთილ ადამიანს, რომელმაც ჩემი ჩემოდანი იპოვა და პოლიციაში განაცხადა.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები ჩვენს პატარა და სიკეთით აღსავსე ქვეყანაში!

**მარიამ სიფრაშვილი**



# ნიკას თავგადასავალი

ჩემი მეგობარი ნიკა ფერმერია. ერთ დღეს ხბო გაუხდა ავად და ვეტექიმთან წასაყვანად მოამზადა. ფეხები შეუკრა და საბარგულში ჩასვა, მანქანის უკანა სავარძლის საზურგე იმ ზომაზე გადმოხსნა, რომ პირუტყვს საჰაერო ჰქონოდა და გზაში არ გაგუდულიყო. ქუჩიდან ორი მგზავრი გააყოლა ყვარლამდე. ბიჭები, უკან ჩასხდნენ.

შუა გზაში ხბომ საჰაეროდან თავი გადმოყო და დაიბღავლა. ბიჭებმა იყვირეს: არიქა ძროხაო და შეშინებულები, ლამის მიმდინარე მანქანიდან ხტებოდნენ. მთელი საათი დასჭირდა ნიკას, სანამ სიტუაციას აუხსნიდა და დააწყნარებდა ბიჭებს...

ნიკა სახლში რომ დაბრუნდა, საღამოს, ძმაკაცმა დაბადების დღეზე დაპატიჟა. ამ ძმაკაცს სიძე ჰყავდა, რომელიც მის ოჯახში ცხოვრობდა და ფიტულების კეთებით იყო დაკავებული. დიდ აივნიან სახლში, დიდ ოთახში ქეიფობდნენ ბიჭები, იქვე, გვერდით ოთახში კი, სიძე მუშაობდა ფიტულებზე. რომ დაუსრულებია მუშაობა, აივანზე გაუტანია ნამუშევრები გამოსაშრობად. შუაღამის 12 საათი იქნებოდა. მაგრად წვიმდა, ელექტროენერგიაც გამოირთო....ნიკამ სუფრაზე თავი შეუძლოდ იგრძნო და სუფთა ჰაერზე, აივანზე გასვლა გადაწყვიტა. კარებიდან რომ გამოსულა, დიდი დათვი მდგარა პირდაპირ უკანა ფეხებზე, კბილებდაკრეჭილი. სიმაღლეში 1,90 იქნებოდა. თათები ისე ეჭირა, თითქოს ახლა ეცემა ვინმესო. გვერდითაც უზარმაზარი დათვი მდგარა ორ ფეხზე. ნიკას რომ დაუნახია, მთლად გადავიწყებია ჯანმრთელობის პრობლემა; ელდისგან უკან მოტრიალებულა, ელვის სისწრაფით შეუნგრევია ოთახის კარები დ ა განწირ უ ლ ი ხმით ყვიროდა თურმე; ჩქარა ბიჭებო თოფი, თოფიო...

ეს ამბავი ნიკამ სულ სიცილ-ხარხარით მომიყვა: მე ცოცხალი ბოჩოლით შევაშინე ხალხი, და ამათ მკვდარი დათვებით უნდოდათ გული გამხეთქოდაო!

**მარიამ დათუკიშვილი**

# იქ, საიდანაც დაიწყო ლექსი

თავგადასავალი, ეს სიტყვა ყველა ადამიანში საოცრად იმკვიდრებს ადგილს. მის გაგონებისას უეცარი ღიმილი გსტუმრობს სახეზე, რაღაც სითბოს გრძნობ მაგრამ როდესაც თვითონ ხარ თავგადასავლის მთავარი გმირი – აუწერელი ბედნიერებაა. თავგადასავალი – ჩემთვის ეს სიტყვა ზედაპირული არასოდეს ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იშვიათად ვარ თავგადასავლების გმირი, მაგრამ ფიქრით კი ძალიან ბევრს ვფიქრობ ამ სიტყვაზე. ჩემი საოცნებო თავგადასავალი ვაჟა-ფშაველას კუთხეს , ფშავს და ჩარგალს ეხება.



როდესაც წლების წინ ვაჟას სოფელს, პოეზიის სამშობლოს, პოეზიის ქართულ აკვანს ვესტუმრე, სწორედ იქ გაიღვიძა ჩემში პოეტურმა შთაგონებამ, რომელიც დღემდე ჩემთანაა. ვფიქრობ, მომავალი საოცნებო თავგადასავალიც ისევ ვაჟას სოფელში იქნება, ვაჟასთან ახლოს, ვაჟას გმირებთან ახლოს. ერთი დიდი სურვილი თუ ნატვრა მაქვს, არ ვიცი რა დავარქვა, მინდა რომ ვაჟას სახლში დავწერო პატარა ლექსი, თუნდაც თავგადასავალზე, მანამდე კი ... ამ პატარა



ლექსით დავკმაყოფილდები:

*

ლექსო, სიმღერით ნათქვამო,
სიმღერა გქონდეს სულადა,
იერ – შეცვლილო ქალაო,
ნუ შეიცვლები სულ მთლადა,
ტკბილად სასმენო ხევებო,
კვლავ ირაკრაკეთ მარადა,
ნისლ – აკრეფილო გორ-მთებო,
ჯვარი გეწეროთ ჯვარადა!

**გიორგი ზუზიტაშვილი**

# დაუვიწყარი დღე

იმერეთი, ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე საქართველოსი! დაუვიწყარ მოგონებად დამრჩება ის დღე, როდესაც პირველად გავემგზავრე ჩემს საყვარელ ადგილას. უზომოდ ბედნიერი და მშვიდი ვიყავი. რა ჯობია იმ ბუნებას, რომელსაც შენვე შეიგრძნობ; რა ჯობია იმ ნაზ სიოს, რომელიც შენს სხეულს ნაზად და თბილად უვლის გარს; რა ჯობია, კამკამა ჰაერს, რომლითაც ცოცხლობ; ჩიტების ჟღურტულს, რომლის მშვენიერი მუსიკა წყნარად ჩაგესმის; ხეების შრიალი, მინდვრის ყვავილები, და მათი უგემრიელესი, არომატული სურნელი რომ გაბრუებს....



რაღა დაგიმალოთ და, როდესაც იმერეთში ჩავედი, ხალხი უაღრესად თბილად დამხვდა. მარტო მე კი არა, იქ , ყველა ადამიანს, ასე ხვდებიან. აღსანიშნავი იყო მათი მრავალფეროვანი სუფრა, ადათ-წესები. როგორც ყველა მხარეს, ასევე იმერლებსაც აქვთ თავიანთი გამორჩეული კერძები. უგემრიელესი იყო სხვადასხვა ხერხით მომზადებული თევზი, რომელსაც შემდგომ ქინძის საშარაბის საწებელს აყოლებ. ასევე სხვადასხვა ცხელი კერძები, რომლის საიდუმლოსაც არავის უმჟღავნებენ.... გამაოცა ენაშაქრიანმა „თამადამ“, რომელიც მლოცავდა. უამრავი სასიამოვნო და ლამაზი სიტყვებით ლოცავდა ხის თითოეულ ფოთოლს, ყვავილის თითოეულ ფურცელს, მზის თითოეულ სხივს.

ეს დღე, ჩემს ცხოვრებაში, შეუცვლელ მოგონებად დარჩება.

**ქრისტინა მუხულიშვილი**

# ბავშვობა – სანატრელი ხანა

დრო არ იცდის. არ გველოდება და არ გააჩნია შეგრძნებები. ... უცებ გავიდა თორმეტი წელი. ერთი თვალის დახამხამებაში წარსულის ლამაზ მოგონებად იქცა... გავიდა სანატრელი და დაუვიწყარი ბავშვობა, რომელიც, თითქოს, სკოლის დასრულებასთან ერთად გაქრა.

ბავშვობა – ერთი სიტყვა და ყველაზე ბედნიერი, დაუვიწყარი, განუმეორებელი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე წლებია, რომელსაც ვერ დავაბრუნებთ. არც არაფერია მასზე სასიამოვნო და ამავდროულად მასზე სანატრელი. ეს ის დროა, როცა ყველა სიხარული სხვანაირად გიხარია და შენს ირგვლივ სამყაროც სხვანაირია. ბავშვობის გახსენება ყველას ბედნიერებას და ღიმილს ჰგვრის სახეზე. არის მომენტები, როცა უბრალოდ ფიქრობ, ფიქრობ და იხსენებ იმ ბედნიერ, სიცოცხლით სავსე ბავშვობას, ცდილობ დაიბრუნო ფიქრებით. ხშირად, რაღაც პატარა საგანს, ფრინველს, მცენარეს და თვით მუსიკასაც კი რაღაც ბედნიერებით აღსავსე მოგონება მოაქვს. ბავშვობაში ცა სულ სხვანაირად ლამაზი იყო. მრავალი ყვითელი წერტილი ამშვენებდა შავ, ძლიერ ღამეს. და სანამ ამ ასაკში ხარ, ბოლომდე ისიამოვნე ამით, დრო არ იცდის... არ გველოდება და არც წარსულში გვაბრუნებს. შეიგრძენი ბედნიერი წუთები, უბრალოდ დატკბი ამ სიმდიდრით, რადგან დრო ძალიან მალე გადის და ყველაფერი წარსულის ლამაზ მოგონებად იქცევა.

**ლიკა მიხელიძე**



***მცენარეთა მავნე ორგანიზმებისგან დასაცავად, მსოფლიოში ერთ-ერთი აპრობირებულია ქიმიური ნივთიერებების, ე.წ. პესტიციდების გამოყენება.***

პესტიციდები კლასიფიცირდება დანიშნულების მიხედვით:

- ინსექტიციდები – მავნე მწერების;
- აკარიციდები – ტკიპების;
- როდენტიციდები – მღრღნელების;
- ნემატიციდები – ნემატოდების;
- ფუნგიციდები – სოკოვანი დაავადებების;
- ბაქტერიციდები – ბაქტერიოზების;
- ჰერბიციდები – სარეველების წინააღმდეგ და ა.შ.

პესტიციდების მოქმედება განპირობებულია ბიოლოგიური აქტივობით და ტოქსიკურად მოქმედებს არა მარტო მავნე, არამედ სხვა ორგანიზმებზეც, მათ შორის, ადამიანზე. ამიტომ აუცილებელია პესტიციდების სწორი და გონივრული



# პესტიციდი – დაიცავით უსაფრთხოების ზომები!

გამოყენება, უსაფრთხოების წესების დაცვა როგორც მოხმარების, ასევე ტრანსპორტირებისა და შენახვის პერიოდში.

### ორიგინალი პრეპარატი და მისი ჯენერიკი ალტერნატივა

ორიგინალი პრეპარატი შეიცავს მოქმედ ნივთიერებას, რომელიც შემუშავებულია მწარმოებელი კომპანიის მიერ. კომპანიას გააჩნია საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ლაბორატორიები. მაღალკვალიფიციური მეცნიერები წლების განმავლობაში მუშაობენ ინოვაციურ ფორმულაზე.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარეობს პრეპარატის ეფექტიანობის გამოცდა, უარყოფითი ეფექტის შესწავლა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაზეც დიდი დრო და მატერიალური რესურსი იხარჯება.

ასეთი პრეპარატები დაცულია პატენტით და მათ მფლობელებს წამლის გაყიდვაზე 20-წლიანი ექსკლუზივი აქვთ. საპატენტო შეზღუდვის ვადის ამოწურვის შემდეგ, წამლის წარმოების უფლება სხვა მწარმოებლებსაც ეძლევათ. ასე იქმნება ჯენერიკები.

ჯენერიკში რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, პრეპარატული ფორმა და სხვა ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები იგივე უნდა იყოს, რაც ორიგინალში; განსხვავებულია მხოლოდ დამხმარე ნივთიერებები (მიმწებებლები, ემულგატორები, საფენერები, ანტიდოტები და სხვა).

ჯენერიკი ორიგინალის ბიოეკვივალენტური უნდა იყოს (ეფექტიანობა, ხარჯვის ნორმა, გარემოსა და ადამიანზე გავლენა).

### სამი ძირითადი განსხვავება ორიგინალსა და ჯენერიკს შორის

- **ჯენერიკის დაბალი ფასი ორიგინალთან შედარებით** – აღნიშნული განპირობებულია პრეპარატის მოქმედ ნივთიერებაზე წარმოებული კვლევების ხარჯების არარსებობით, სარეკლამო ხარჯების დაზოგვითა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესებით;
- **კომპონენტების სხვაობა** – დამხმარე ნივთიერებებზე დამოკიდებულია პრეპარატის ეფექტიანობა და, რაც მთავარია, უსაფრთხოება;
- **ტექნიკური პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განსხვავება** (საპატენტო შეზღუდვის ვადის გასვლის შემდეგ, ორიგინალი ფირმა საიდუმლოდ ინახავსპრეპარატის წარმოების პროცესს და რეცეპტურას).

ევროპა მკაცრად აკონტროლებს ჯენერიკების წარმოების პროცესს, ხარისხს და მოქმედი თუ დამხმარე საშუალებების ქიმიურ შემადგენლობას.

ჯენერიკები, რომლებიც არ არის დარეგისტრირებული VU და OECD ქვეყნებში, საქართველოში საველე პირობებში გადის ერთ-ორწლიან სარეგისტრაციო გამოცდებს და დოკუმენტურ, ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ, ტოქსიკოლოგიურ და ჰიგიენურ ექსპერტიზას. აგრეთვე ხდება ნიმუშის აღება და მათი ხარისხის შემოწმება.

### რა უნდა გავითვალისწინოთ პესტიციდის გამოყენებისას?

არასწორი მოხმარების შემთხვევაში, პესტიციდები დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა, ანოტაციის საგულდაგულოდ გაცნობა. ინსტრუქცია აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს შეძენილ პრეპარატს!

**თავდაპირველად უნდა შეფასდეს მიწის ნაკვეთის მდგომარეობა, რათა დადგინდეს, რა მავნე ორგანიზმით არის დაზიანებული მცენარეები. ამისთვის საჭიროა მიმართოთ სპეციალისტს!**

პესტიციდის შერჩევისას ზუსტად უნდა განისაზღვროს, გამართლებულია თუ არა მის შესაძენად საჭირო ხარჯის გაწევა; შეფასდეს, რა უფრო მომგებიანია – ქიმიური წამლობისთვის თანხის გაღება და ამით მოსავლის გაუმჯობესება თუ თანხის დაზოგვა წამლობაზე და შედარებით ნაკლები მოსავლის მიღება.

ქიმიური წამლობის ჩატარება მაშინ არის გამართლებული, თუ მისი ფასი ნაკლებია შენარჩუნებული მოსავლის ფასზე! პესტიციდის შეძენისას მნიშვნელოვანია მისი ხარჯვის საჰექტრო ნორმისა და წამლობის ჯერადობის გათვალისწინება.

**პესტიციდების შეძენა რეკომენდებულია მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიაში!**

მომხმარებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ნამდვილად იმ საჭირო პრეპარატს ყიდულობს, რომელიც მცენარეთა დაცვის სპეციალისტმა ან გამოცდილმა აგრონომმა ურჩია!

**მნიშვნელოვანია ტარის შემოწმება, რომელშიც პესტიციდია მოთავსებული!**

**აუცილებელია:**

- ჭურჭელი ჰერმეტულად იყოს დახურული და სახურავს ჰქონდეს ხელუხლებელი დამცავი რგოლი!
- პესტიციდის ტარაზე მიკრული იყოს ეტიკეტი ქართულ ენაზე, სადაც მითითებულია პრეპარატის დასახელება, მოქმედი ნივთიერება და კონცენტრაცია, უსაფრთხო გამოყენების რეკომენდაციები, პრეპარატის შენახვის პირობები, ვარგისიანობის ვადა, მწარმოებელი ქვეყანა და სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი.

**დაუშვებელია უეტიკეტო, საცობდაზიანებული, საეჭვო ჭურჭელში მოთავსებული პესტიციდის შეძენა! პრეპარატის გამოყენებამდე მნიშვნელოვანია ტარაზე განთავსებული ეტიკეტის გულდასმით წაკითხვა!**

### დაიცავით უსაფრთხოების ზომები!

შეიძინეთ იმ რაოდენობის პესტიციდი, რამდენიც საჭიროა კულტურის ერთ სავეგეტაციო პერიოდში გამოსაყენებლად. ამით თავიდან აიცილებთ ნარჩენი რაოდენობის პესტიციდების შენახვის (დასაწყობების) აუცილებლობას.

ქიმიური წამლობების დროს გამოიყენეთ სპეციალური ტანსაცმელი, რომელიც მაქსიმალურად ფარავს სხეულს! აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: რეზინის ხელთათმანი, ჩექმა, თავსაბურავი, სათვალე, რესპირატორი. წამლობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ უქარო ამინდში, დილის ან საღამოს საათებში!

**დაუშვებელია:**

**ქიმიურ პრეპარატებთან (ფხვნილი, ხსნარი) შიშველი ხელებით მუშაობა! პესტიციდით დაბინძურებული ხელით სიგარეტის მოწევა, საკვებისა და სასმელის მიღება! პესტიციდის ტარის საყოფაცხოვრებო ან სხვა მიზნებისათვის გამოყენება.**

პესტიციდის ტარა უნდა დაიხვრიტოს და ჩაიფლას ღრმად, სპეციალიზებულ ამოცემენტებულ ორმოში. ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა უნდა დაიწვას. დაწვისას წარმოქმნილი ბოლი საზიანოა ჯანმრთელობისთვის, ამიტომ დაუშვებელია მისი შესუნთქვა!

- სამუშაოს დამთავრების შემდეგ, რეკომენდებულია საპნით და წყლის ნაკადით დაბანა, შხაპის მიღება!
- დაბინძურებული ტანსაცმელი გარეცხეთ და განცალკევებით განათავსეთ!
- სამუშაოს დასრულების შემდეგ გარეცხეთ შემასხურებელი აპარატურა, ნარეცხი წყალი გახარჯეთ დამუშავებულ ნაკვეთში!

### როგორ მოიქცეთ პესტიციდით მოწამვლის შემთხვევაში

- პესტიციდის ორთქლის შესუნთქვის შემთხვევაში, ექიმის მოსვლამდე დაზარალებული მოარიდეთ სამუშაო ადგილს!
- კანზე მოხვედრისას, პესტიციდების უმრავლესობა სწრაფად შეიწოვება, ამიტომ დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ გამდინარე წყლის ჭავლით. დამწვრობის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს!
- პრეპარატის თვალში მოხვედრისას აუცილებლად გამოირეცხეთ თვალი გამდინარე წყლის ჭავლით 10 წუთის განმავლობაში და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!
- პესტიციდის გადაყლაპვის შემთხვევაში დაზარალებულმა ექიმის მოსვლამდე უნდა მიიღოს ჭიქა წყალი აქტივირებულ ნახშირთან ერთად.
- დაუშვებელია პირღებინების პროვოცირება, როდესაც ადამიანი იმყოფება უგონო მდგომარეობაში!
- პესტიციდის ტარის ეტიკეტი უნდა გადაეცეს ექიმს!

### სიფრთხილე თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა!

დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია პესტიციდის 258 მოქმედი ნივთიერება და 715 პრეპარატული ფორმა.

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო**





# უცხოელის თვალით დანახული საქართველო

„ქალის მიერ ნაქადაგები სახარება" – ასე ეწოდება იტალიელი კინორეჟისორის პიჩირილოს მიერ საქართველოს შესახებ გადაღებულ ორნაწილიან დოკუმენტურ ფილმს, რომელსაც მესამე ათასწლეულის დამდეგს ხშირად უჩვენებდნენ იტალიის ტელევიზიით.

მცხეთა, თბილისი, შიომღვიმე, დავითგარეჯი, იყალთო, ატენი, ვარძია, წრომი, წუნდა, უბისა, ბაგრატი, გელათი, დმანისი... თითქმის არ დარჩენილა წმინდა ადგილი საქართველოში, იტალიელი კინოდოკუმენტალისტების ობიექტივში რომ არ მოხვედრილიყო.

სასიხარულოა, რომ ფილმმა იტალიელი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იგი დღემდე საქართველოს არც ერთ ტელეარხს არ უჩვენებია...

შემოგთავაზებთ ფრაგმენტს ფილმიდან, რომელიც მცხეთის ისტორიაზე მოგვითხრობს:

„წმინდა ნინოს დღეს საქართველოს ყველა ეკლესიაში სცემენ თაყვანს.

ამ მიწას ძველად იბერია ეწოდებოდა და მისი პირველი მოსახლენიც იბერები იყვნენ.

ერის გულისცემა ჯერ კიდევ აქაა, მცხეთაში, მდინარე მტკვრის ნაპირზე, იმ ქვეყნის უძველეს დედაქალაქში, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ქართლს უწოდებდნენ და სადაც მე-4 საუკუნეში მოაღწია ტყვე ქალმა ნინომ.

წმინდანის ცხოვრება მოგვითხრობს, რომ დედოფალ ნანასა და მეფე მირიანის მოქცევის შემდეგ ნინომ ქართლის სამ ბორცვზე ჯვარი აღამართვინა, რათა ახალი, ქრისტიანული ტერიტორია დაესაზღვრა. სამთაგან ერთი ჯვრის ადგილი იყო უძველესი, მკაცრი ეკლესია, ერთგვარი ზარდახშა, კიდობანი მე-6 და მე-7 საუკუნეთა შორის, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქვის დიდი ნაგებობა, რომელიც იცავდა და ეთაყვანებოდა გოლგოთად აღმართულ დიდ ჯვარს რვაწახნაგოვანი დოლის შუაგულში. იგი თავისთავად იერუსალიმის წმინდა საფლავის ტიპური არქიტექტურის იმიტაციას წარმოადგენს. ეს არის ჯვრის ეკლესია.

ეს ეკლესია ბრწყინვალე გადმოსახედია ქრისტიანული საქართველოს ისტორიის საწყისებისკენ. მის ქვემოთ, ორი მდინარის, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, მთებით დაცული ძველი დედაქალაქია – მცხეთა. იგი საკათედრო ტაძრის, სვეტიცხოვლის გალავნის ირგვლივ გაშენდა, რომელიც ქრისტიანული იბერიის გულს წარმოადგენს. გადმოცემის თანახმად, წმინდა ნინომ სთხოვა მეფე მირიანს, რომელიც 265-342 წლებში მეფობდა, ეკლესია აეგო მცხეთაში. მეფე დაეთანხმა და მაცხოვარს ტაძარი აუგო. V საუკუნეში ეს ტაძარი ხელმეორედ იკურთხა წმინდა მოციქულთა სახელზე და მას წმინდა სიონი ეწოდა – საქართველოს ყველა ეკლესიის დედა. დღეს ტაძარი სვეტიცხოვლის სახელითაა ცნობილი.

პირველ ისტორიულ ცნობას იბერთა ანუ ქართველთა გაქრისტიანების შესახებ გვაწვდის საეკლესიო მწერალი რუფინუს აკვილელი, რომელიც იერუსალიმში, ზეთისხილის მთაზე ცხოვრობდა. მან ეს ამბავი იმპერატორ თეოდოსის დედის სამხედრო სამსახურში მყოფი იბერთა მეფის, ბაკურისგან შეიტყო, რომელიც იერუსალიმში პალესტინის საზღვრის მცველი სამხედრო პირის რანგში იმყოფებოდა. მას უამბო, რომ ეს უდიდესი სიკეთე ერთი ტყვე ქალის დამსახურება იყო. უფრო გვიანდელი ქრონიკა ამ ტყვე ქალის სახელსაც გვამცნობს: ნინო. წარმოშობით კაბადოკიელმა მსახურმა, ომის ტყვემ, იბერიაში, იმავე აღმოსავლეთ საქართველოში, მეზობელი და უკვე გაქრისტიანებული სომხეთიდან მოაღწია. თავისი მისიონერული გულმოდგინებით მან შეძლო მოექცია დედოფალი ნანა და მეფე მირიანი. მირიანმა ნინოს ღმერთი გასაჭირის დროს აღიარა.

კონსტანტინე იმპერატორის დროს, – წერს რუფინუსი, – იბერთა ტომმა, რომელიც შავი ზღვის პონტოს ზონაში სახლობდა, როგორღაც შეითვისა ღვთის სიტყვა და სასუფევლის რწმენა. რუფინუსი ამას ასე გადმოგვცემს:

„ნინო, კაბადოკიელი ტყვე ქალი, იმდენად უბიწო და ღვთისნიერ ცხოვრებას ეწეოდა, რომ ქართველი ქალების გული დაიპყრო და სახელი გაითქვა როგორც წმინდანმა.

ჩვეულებისამებრ, უცნობი სენით დაავადებული ბავშვი მშობლებს კარდაკარ დაჰყავდათ მკურნალის ძიებაში. ერთმა დედამ თავისი სნეული შვილი ნინოს მიუყვანა. ნინომ უთხრა, რომ მან არც ერთი სამკურნალო საშუალება არ იცოდა, მაგრამ მისი ღმერთი ქრისტე თუკი ინებებდა, ყველას განკურნებას შეძლებდა. იგი შეუდგა მხურვალე ლოცვას და დედას განკურნებული შვილი დაუბრუნა.

ამბავმა ამგვარი სასწაულის შესახებ დედოფლის ყურამდეც მიაღწია, რომელსაც სხეულის ძლიერი ტკივილები ტანჯავდა. დედოფალი ეახლა მსახურ ქალს, რომელიც შეევედრა თავის ღმერთს და დაუბრუნა მას სხეულის სიმრთელე. ამის შემდეგ შეუდგა ქადაგებას, რომ ქრისტეა ღმერთი, ერთადერთი, ჭეშმარიტი და უზენაესი.

მეფემ, როდესაც ცოლის სასწაულებრივი განკურნების შესახებ შეიტყო, არ დაიჯერა. არ სურდა ერწმუნა კაბადოკიელი ტყვე ქალის ღმერთის ძალა, მაგრამ ერთხელ ნადირობისას წყვდიადში გზა ველარ გაიგნო და შიშით შეპყრობილმა ქრისტედ წოდებულ ღმერთს მიმართა. იფიქრა, თუ ჭეშმარიტი ღმერთი იყო, ამ საფრთხისა და წყვდიადისგან დაიხსნიდა და აღუთქვა, რომ იმ დღიდან განაგდებდა ყველა კერპს და მხოლოდ მას სცემდა თაყვანს. იმავ წამს ირგვლივ ნათელი მოეფინა და მეფემ შეძლო დაბრუნებულიყო თავის ქალაქში მრთელი და უვნებელი.

ამის შემდეგ უხმო მსახურ ქალს და უბრძანა, ესწავლებინა მისთვის ამ ღმერთის მსახურება. აღთქმაც დადო, რომ იმიერიდან არც ერთ ღმერთს აღარ სცემდა თაყვანს, ქრისტეს გარდა.

სამთავროს შუა საუკუნეების ეპოქის ტაძარში საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეთა მირიანისა და ნანას საფლავების მონახულება შეიძლება.

გარეთ მდებარე პატარა სამლოცველო, ქრისტიანული რწმენისა და ხელოვნების აყვავების სათავე, წმინდა ნინოს საცხოვრებელზე მიგვანიშნებს",

**ამირან სინაურიძე**





# კრაზანა (ჩაის ყვავილი) – სამკურნალო მცენარე

„როგორც ფქვილის გარეშე არ შეიძლება პურის გამოცხობა, ასევე კრაზანას გარეშე არ შეიძლება მრავალი ავადმყოფობის მკურნალობა“ – ამბობდნენ ძველად მკურნალები.

როგორია ამ სასწაულმოქმედი მცენარის შემადგენლობა?

კრაზანა 15-ზე მეტ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს, მათ შორის – ქოლინს, ვალერიანის მჟავას,საპონინებს, ეთერზეთებს, რომლებიც მცენარეს საუცხოო თვისებებს ანიჭებს.

საპონინებს ამოსახველებელი და სიცხის დამწევი მოქმედება ახასიათებს, ამიტომაც კრაზანას ნაყენი კარგია გაციებისა და ვირუსული ინფექციების დროს. მცენარის შემადგენლობაში შემავალი მწარე ნივთიერებები ასტიმულირებს საჭმლის მონელებას, ეფექტურია ბუასილის სამკურნალოდ და პარაზიტების გამოსადევნად.

კრაზანა შეიცავს კოფეინისა და ქლოროგენის მჟავებს, რომლებსაც ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობათა შეხორცების ხელშემწყობი თვისებები აქვს. მცენარე მდიდარია ფლავონოიდებითაც, რომლებიც სისხლძარღვთა გამაფართოებელი და ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) ეფექტით გამოირჩევა და, ამის კვალობაზე, სასარგებლოა გულისათვის.

კრაზანას შემადგენლობაში შემავალი ჰიპერფორინი ანტიდეპრესიული და ანტინევრალგიური ნივთიერებაა, ხოლო ჰიპერიცინი უნიკალური ანტისეპტიკური საშუალება საშარდე გზებისათვის. რაც შეეხება შემომგარსველ და ჭრილობათა მოშუშება-შეხორცების ხელშემწყობ ეფექტს, ის მცენარეში უხვად არსებულ ეთერზეთებს უკავშირდება.

კრაზანა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუკეთესო დამაწყნარებელი საშუალებაა. ის ეფექტურია შაკიკის, სხვადასხვა წარმოშობის თავის ტკივილის, ნევროზის, ისტერიისა და სახის ნერვის ნევრალგიის დროს. ეს მცენარე საუკეთესო მკურნალია ქალას ტრავმის, მეტყველების დარღვევის, შფოთვისა და მოუსვენრობის დროსაც.

კრაზანას ნაყენითა და მალამოებით მკურნალობენ ღია, ძნელად მოსაშუშებელ და ჩირქოვან ჭრილობებს, ეგზემას, მწერის ნაკბენებსა და ფურუნკულებს. ის ამშვიდებს კანს, აქრობს წვისა და ქავილის შეგრძნებას, აშუშებს დამწვრობას.

კრაზანას ფშავში ჩაის ყვავილს ეძახიან, ხევსურეთში – უჟმურის ბალახს, ქვემო იმერეთში – კერჟანას, გურიაში – ცოცხობეს.

კრაზანა იზრდება ტყის პირებში, მშრალ მდელოებში, ველობებში, ბუჩქნარს შორის და მთის მშრალ კალთებზე, გვხვდება როგორც სარეველა გზის პირებსა და მინდვრის ნაპირებში. იგი იშვიათად ქმნის ხშირ ბარდებს.

კრაზანას აგროვებენ ყვავილობის პერიოდში. ჭრიან კენწეროდან 10-20 სმ-ის სიგრძის ნაწილს, აშრობენ მშრალ ადგილას. შრობის შემდეგ ხშირად ყვავილებს და ფოთლებს აცილებენ უხეშ ღეროებს.

კრაზანას ნაყენს იყენებენ როგორც გამოსავლებ საშუალებას გინგივიტების და სტომატიტების მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით, ხოლო საფენების სახით ჭრილობების მოსაშუშებლად. აგრეთვე პირის ღრუში ცუდი სუნის შემთხვევაში.

კრაზანს ხმარობენ ნაღვლსადენი გზებისა და ნაღვლის ბუშტის დისკინეზიის, ჰეპატიტების, ქოლეცისტიტების, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების საწყისი სტადიის, გასტრიტების, მეტეორიზმის, თირკმლის დაავადების, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ქალური დაავადების, ჩირქის, წყლულების, კანზე გამონაყარის და სხვა დაავადებების დროს. მწვანე მცენარეს ხელში სრესენ და იდებენ გარედან დაჟეჟილობის დროს და სისხლის დენის შესაჩერებლად.

კრაზანას სამკურნალო მიზნით ძირითადად ნაკრების სახით იყენებენ.

კრაზანას ნაყენის მისაღებად აიღეთ 10 გ (1,5 სუფრის კოვზი) ბალახი, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი წყალი, დაახურეთ თავსახური, ადუღეთ წყლის აბაზანაში 15 წთ-ის განმავლობაში. გააცივეთ, გაწურეთ და დაამატეთ ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ 1/4 ჭიქა დღეში 3-ჯერ ქალის სასქესო ორგანოების ანთების, შარდის ბუშტის, თირკმელებისა და შარდსადენი გზების დაავადების დროს.

კრაზანა – ჯადოსნურ ბალახად ითვლება. ჩვენს უმეტესობას, განსაკუთრებით შემოდგომაზე, აუხსნელი შფოთვა და აპათია აწუხებს. ითვლება, რომ ეს სავსებით ბუნებრივი მდგომარეობაა, თუმცა არსებობს ამ შეგრძნების ფიზიოლოგიური ახსნაც.

შემოდგომის დადგომისას ჩვენს ორგანიზმში იკლებს ბედნიერების ჰორმონი, სეროტონინის დონე, რომლის სინთეზისთვისაც აუცილებელია მზის სხივები.

სეროტონინს უკმარისობა ადამიანში იწვევს ცუდ განწყობას, ძალების დაკარგვას, დაბნეულობას და დეპრესიას.

სეროტონინის დონის ამაღლება და საშემოდგომო დეპრესიისგან თავის დახსნა მედიცინაში ერთერთ ყველაზე პოპულარულ ბალახს კრაზანას შეუძლია.

მას ასე, ფოთლებში რკინის უჯრედების არსებობის გამო უწოდებენ, რომლებიც ხილულია სინათლეზე. სწორედ ეს უჯრედები შეიცავს მალზამურ სეკრეტს, არომატის წყაროს და სამკურნალო საწყისს.

რითია სასარგებლო კრაზანა? – ნევრალგიაში ჯერ კიდევ პარაცელცუსი და ჰიპოკრატე იყენებდნენ. პირველად ანტიდეპრესანტის სახით გამოიყენა იგი მებალახე და ასტრონომმა ნიკოლსონ კულპეპერმა 1652 წელს.

კრაზანას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა ჰიპერიცინია, რომელიც ხელს უშლის სეროტონინის შეწოვას, ეს ზრდის მის კონცენტრაციას სისხლში და გვაშორებს ცუდ განწყობასა და უარყოფით აზრებს.

სეროტონინის დონის რეგულაციას თან კიდევ ერთი უჩვეულო შედეგი მოჰყვება: გვეხმარება გახდომაში. როცა სეროტონინის დონე იკლებს, ჩვენ ვგრძნობთ შიმშილს, ხოლო, როცა ნორმაშია – პირიქით, ვგრძნობთ დანაყრებას, მაშინაც კი, თუ ბოლოს 6 საათის წინ ვჭამეთ.

კვლევებმა აჩვენა კრაზანას კარგი თერაპიული ეფექტი დეპრესიის დროს, ქრონიკული დაღლილობის მკურნალობისას. ამასთან ერთად ატანის მაჩვენებლით კრაზანა სჯობს სინთეტიკურ პრეპარატებს. იშვიათია გვერდითი მოვლენები და არ აქვს მძიმე ხასიათი.

გთავაზობთ სამკურნალო ნაყენებსა და ჩაის რეცეპტებს სხვადსხვა მდგომარეობისთვის.

დეპრესიის და უძილობის წამლების მომზადება კრაზანისგან საშინაო პირობებშია შესაძლებელი, თუ შემდეგ რეცეპტებს გამოიყენებთ:

დეპრესიის ნაყენი – 10 გრამ გამომშრალ კრაზანას დაასხით ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 30 წუთი. მიირთვით ნაყენი დღეში ექვსჯერ ჭამის შემდეგ. ეს ნაყენი შველის არამხოლოდ დეპრესიას, არამედ ცისტიტს, კუჭნაწლავის ტკივილებს, ღვიძლისა და შარდის ბუშტის დაავადებებს. თირკმელკენჭოვან დაავადებებს, რევმატიზმს, თავის ტკივილებს, კოლიტს და ბავშვებში შარდშეუკავებლობის დროსაც დაგეხმარებათ.

ჩაი დეპრესიის წინააღმდეგ-დაასხით 2 ჩ.კ. მშრალ კრაზანას ერთი ჭიქა მდუღარე. მიირთვით კრაზანას ახლადაყენებული ჩაი დღეში ორჯერ, დილით და საღამოს. გამოყენაბმდე იგი 10 წუთით უნდა გააჩეროთ. სამკურნალო ეფექტისთვის დალიეთ ჩაი 2-3 თვის მანძილზე.

კრაზანას ნაყენი შფოთვის მოსაშორებლად – შეურიეთ გვირილ;ას და კრაზანას ყვავილები 1:1 პროპორციით, დაასხით 500 მლ წყალი, აადუღეთ ნელ ცეცხლზე, ადუღების შემდეგ გააჩერეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთი. მიიღეტ ნაყენი 3 ს.კ. ჭამამდე 30 წუთით ადრე, მხოლოდ 1 კვირის მანძილზე.

ზეთის ნაყენი – შეურიეთ 10 გრ. კრაზანის ყვავილები ნახევარ ჭიქა ზეითუნის ზეთს. გააჩერეთ ბნელ ადგილას 40 დღე. მიღებული ექსტრაქტი მიიღეთ 1ჩ. კ. ოდენობით 2 კვირის მანძილზე.

უძილობის წინააღმდეგ – ხშირად დეპრესიული მდგომარეობა იწვევს უძილობას. მისგან განთავისუფლებაში დაგეხმარებათ კრაზანას ფხვნილი, რომელიც აფთიაქებში იყიდება. მიირთვით დღეში 2-4 გრამი ფხვნილი, დაყავით სამ ნაწილად და ისე. მკურნალობის ეფექტი ყოველდღიური მიღების 1 თვის თავზე იქნება თვალსაჩინო.

უკუჩვენებები – კრაზანას ნაყენი ხანგრძლივი მიღებისთვის არ არის რეკომენდირებული მათთვის, ვისაც აწუხებს ჰიპერტონია ან ინდივიდუალური აუტანლობა. არ უნდა მიიღონ კრაზანა ფეხმძიმეებმა და ისეთი დაავადებების მქონე ადამიანებმა რომლებსაც თან ახლავს მაღალი ტემპერატურა. ამ დროს არშეიძლება ასევე, ალკოჰოლური სასმელები, ყავა და შოკოლადი, შებოლილი და დამწნილებული პროდუქტი.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**



## დათო ჩახნაშვილის გახსენება

# ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე



კიდევ ერთი წელი მიილია ჟამთასვლის მარადიულ გზაზე, ხოლო შენი მარადისობაში გადასვლიდან სამი წელი გასულა უკვე. და აი, 17 ივნისს კიდევ ერთი დაბადების დღე დაგვიდგა უშენოდ...

ქრისტიანული გულმოწყალებითა და კაცთმოყვარეობის გრძნობით გიხსენებთ კიდევ ერთხელ და ასე იქნება ყოველთვის, ვიდრე ამ წუთისოფელში დავაბიჯებთ, რამეთუ ხსოვნაშია ჩაქსოვილი ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომელიც მარადიულია და ვერაფერს აკლებს ჟამთა სვლის ყოვლის წამლეკავი მდინარება.

მჯერა, არა მხოლოდ თითოეული ჩვენგანი, არამედ ყველა, ვინც გიცნობდა და ვისთანაც მეგობრობდი, ამ დღეს გაგიხსენებს და მოკრძალებით დახრის თავს შენი ხსოვნის წინაშე, ხოლო შენი წმინდა აჩრდილი, ალბათ, ჩვენი შეუცნობადი სამყაროს იმქვეყნიური სანახებიდან მადლიერების გრძნობით დაგვიქნევს თავს!

შენი მოულოდნელი გარდაცვალებით მოუშუშებელი იარა მიაყენე ოჯახს, მეგობრებს, ასაკოვან მშობლებს. არავინ ველოდით შენს ასეთ აღსასრულს. არადა, ბევრი ოცნებები და სურვილები გქონდა, შენატროდი საყვარელ სამშობლოს და საფიცარ ყვარელს, უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობდი. ვაგლახ, რომ უდროოდ ჩატყდა სიცოცხლის ხიდი...

ძალიან ძნელია ამ სტრიქონების წერა და აზრების თავმოყრა – რა დავწეროთ, რა მოვიგონოთ, ის თუ როგორი გვახსოვხარ – ტანადი, ათლეტური აღნაგობის მზეჭაბუკი! შენი ძლიერება მხოლოდ გარეგნობით არ გამოიხატებოდა: კეთილი იყავი, თავმდაბალი, მოსიყვარულე!

ბავშვობიდანვე თანდაყოლილი სპორტული მონაცემები გქონდა. ახალგაზრდობის წლებში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ჭაბუკების გუნდის შემადგენლობაშიც ვარჯიშობდი, მაგრამ სპორტის ამ სახეობას ბოლომდე არ გაჰყოლიხარ, შემდეგში ფრენბურთმა გაგიტაცა.

როგორ გვიხაროდა და გვეამაყებოდა, როცა ჩვენს გვერდით თამაშობდი რაიონის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და რამდენიმე წლის განმავლობაში ერთად ვიარეთ სპორტული ცხოვრების ასპარეზზე, როცა ჩვენი თამაშით სერიოზულ წარმატებებს ვაღწევდით ყველა რანგის ჩემპიონატებში საქართველოს მასშტაბით. დღესაც კარგად გვახსოვს შენი საოცრად მაღალი ნახტომები და შეუდარებელი ცაცია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე – ძალზე ორიგინალური და მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი მანერების თავდამსხმელი იყავი.

ანდა, როგორ შეიძლება იმის დავიწყება, თუ როგორ გიყვარდა ჩვენს სამეგობრო წრეში დროსტარება და ქეიფი, შენი განუყრელი გიტარით ხელში. განსაკუთრებით ახალსოფელში, ჩვენი თანაგუნდელის, არნე ხატიაშვილის ოჯახში, ვისი სახლის კარიც ყოველთვის ღია იყო ჩვენთვის.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კიდევ რამდენი რამ გაგვახსენდება დადარდიანებულ შენს მეგობრებს, შენს ოჯახსა და ახლობლებს. რა თქმა უნდა, არც შენი ცხოვრება ყოფილა სულ იავარდით მოფენილი. ბევრი მძიმე დღეც შეგხვედრია ამ ოღროჩოღრო წუთისოფელში სავალ გზაზე. არც ახლობელი ადამიანებისა და მეგობრების სიკვდილით გამოწვეული ტკივილები აგცდა თავის დროზე.

ძნელია შეგუება იმ რეალობასთან, რომ ჩვენს გვერდით აღარა ხარ, აღარ დააბიჯებ ყვარლის ქუჩებში, ვეღარ გავიხარებთ შენთან შეხვედრით.

კიდევ ერთხელ დადგა ივნისი და შენი დაბადების დღე. უკვე მესამე წელია უშენოდ ვხვდებით ამ თარიღს. არადა, სწორედ ახლა იყო საჭირო შენი სიცოცხლე, დიდი და კარგი ამბების მოლოდინში, ჩაფიქრებული ოცნებების ახდენის მოლოდინში, ჩვენო დათო!

დღესაც თვალწინ გვიდგას და მეხსიერებიდან არ ამოდის მწუხარებისგან ცრემლგამშრალი დედაშენის გაქვავებული სახე, შემზარავი უბედურებისგან გატეხილი მამაშენის დაბნეული მზერა, შენი მეუღლისა და შვილების ცრემლიანი თვალები...

ოჯახის პირველი, თანაც ერთადერთი დიდი სიხარული და იმედი იყავი!

დიდი ტკივილი ხარ ახლა, მოუშუშებელი იარა!

გვჯერა, ნაადრევად შეწყვეტილ შენს სიცოცხლეს შენი ორი ვაჟი – ზურა და დავითი გააგრძელებენ ამ წუთისოფელში და შენს სახელს დავიწყებას არ მისცემენ არასოდეს.

ამ გრძნობით გიხსენებთ და თავს ვხრით შენი ნათელი ხსოვნის წინაშე!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

# სამუდამოდ განიკურნეთ ჩიყვის, ანემიისა და ღვიძლის დაავადებებისაგან, საოცრად ეფექტური საშუალება

ხშირად ადამიანებს არა ერთი არამედ სხვადასხვა სახის დაავადებები აწუხებთ, ბუნებაში კი არსებობს უამრავი საშუალება, რომელიც რამდენიმე დაავადებას ერთდროულად ებრძვის.

ერთ-ერთი ასეთი უნიკალური საშუალება კი მწვანე კაკლისა და თაფლის კომბინაცია.

**ეს საოცრად ეფექტური საშუალება კურნავს:**

1) ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს
2) ჩიყვს
3) ასუფთავებს სისხლს და კურნავს ანემიას
4) კარგია სასუნთქი გზების გასაწმენდად
5) კურნავს ბრონქიტს
6) საუკეთესო საშუალებაა მენოპაუზის დროს
7) აძლიერებს იმუნიტეტს
8) წმენდს ღვიძლს და ებრძვის ღვიძლის დაავადებებს

**თქვენ დაგჭირდებათ:**

1) 40 ცალი მწვანე კაკალი
2) 1კგ სუფთა თაფლი

**მომზადება:**

გარეცხეთ კაკალი და დაჭერით ნაჭრებად, მოათავსეთ ქილაში და შემდეგ დაუმატეთ თაფლი, დადგით მზიან ადგილას ერთი თვე. დალიეთ მიღებული სიროფი, (შავი ფერის სითხეა, დაჭრილი კაკლის გარეშე) ერთი ჩაის კოვზი უზმოზე.

შედეგი გაგაოცებთ...



# გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

## მარადი ანასაშვილის ხსოვნას



„უფრო მშვენიერი არაფერი მინახავს, ვიდრე ჩემი ყვარელია“, მთელი გულით ამბობდა ამას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დამსახურებული ჟურნალისტი, ქალბატონი მარადი ანასაშვილი, რომელიც მთელმა ქალაქმა, მისმა კოლეგებმა და თავისი რაიონის წარმომადგენლებმა სულ ცოტა ხნის წინ მიაბარეს მშობლიური ყვარლის მიწას. გაზეთ „ყვარლისთვის“ ამ სათაურით შემდგარი ინტერვიუც ბოლო გამოდგა მისთვისაც და ჩვენთვისაც. დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, მუშაობდა გაზეთ „ყვარლის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „კომუნისტის“, „საქართველოს რესპუბლიკის“, „კაბადონის“ და „ქალთა გაზეთის“ რედაქციებში. იყო გაზეთ „კახეთის“, „მშვიდობა ყოველთას“ და „თეთრი ბაირაღების“ მთავარი რედაქტორი, ბოლო დროს კი გაზეთ „ფესვების“ მთავარი რედაქტორი. არის თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, მთელ დროს მათზე ზრუნვაში ატარებდა. შვილიშვილების გარეშე ერთი დღეც აუტანელი ხდებოდა მისთვის. გასაოცარი ენერგიის ქალი იყო. თითქოს ეჩქარებოდა სიცოცხლეში ყელაფერი მოესწრო; სვანეთი უყვარდა ძალიან; – ერთ-ერთი ამონაწერი მისი ინტერვიუდან: – სვანეთში ხშირად დავდიოდი, ყველა დროს შეუდარებელია იქაურობა, ცხონებულმა საქართველოს გმირმა ჯიმი მაისურაძემ თავის ვერტმფრენით მომატარა მთელი სვანეთი, ორკაპა უშბაში შუაშიც გავმძვრალვარ, თეთნულდის კალთაზეც დამჯდარი ვერტმფრენიდან გადმოვსულვარ და მის კიჩოზე სანთელიც ამინთია, ედელვაისიც მინახავს და იისფერი თოვლიც.

ჩვეულებრივი, უბრალო, თავმდაბალი ადამიანების ბედიც აღელვებდა და ხანდახან ჟურნალისტურ რჩევასაც აძლევდა, – „აბა მიმოიხედეთ ირგვლივ

მრავალი წიგნის ავტორი, – „აჭარის ხევისბერი“, „გზები“, „არ დაიდარდო“, „ოთარ ბურჯანაძე“ – ექიმი ქირურგი, „სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება“ და სხვა. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და სახელმწიფო ლიტერატურული პრემიით, იყო ყვარლის საპატიო მოქალაქეც. მან პირველი ცხოვრებისეული გამოცდილება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე თავისი მშობლიური ყვარლის გაზეთში მიიღო, სწორედ აქ აიდგა ფეხი და აქედან გაიკვლია გზა ცხოვრების გზაზე. ცხოვრების წლები თბილისში გაატარა, მაგრამ უზომოდ შეყვარებული იყო მშობლიურ კუთხეზე და ხშირად ამბობდა, „ჩემი ყვარელი და მისი შემოგარენი რომ არ მეგულებოდეს და ჩემს მეხსიერებაში რომ არ ცოცხლობდეს, მაშინ მთელი სამყარო ჩემთვის გულგამოცლილი მკერდი იქნებოდაო“ – ორი ქალიშვილის და ორი შვილიშვილის დედა და ბებია გახლდათ, მიუხედავად რამდენი ადამიანია, თვითეული მათგანი ხომ ქვეყნის ისტორიის ნაწილია, ხოდა რა გვიშლის ხელს, რომ გავაცნოთ ისინი ფართო საზოგადოებას. გვაქვს ათეული წლობით დაგროვილი ხელუხლებელი თემები, პრობლემები და სხვა უამრავი საკითხია, რომლებიც გამომზეურებას, საჯაროდ განსჯას და გადაჭრას მოითხოვს – ნოდარ დუმბაძის სიტყვებს მოვიშველიებ, „ვიდრე ცოცხლები ვართ ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ, უნდა გვიყვარდეს და უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს“.

დაუსრულებელი დაგრჩა 2008 წლის გმირებზე ჩაფიქრებული წიგნის გამოცემაც, იმ გმირებისა, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლას. აი ასეთი იყო ერთ დროს ქოთქოთა და იასამნისფერსახიანი მარადი ანასაშვილი. დამთავრდა შენთვის ყველაფერი ჩვენო მარადი, ველარ მოკრეფ ყოჩივარდებასა და ენძელებს ილიას გორაზე და კუს წყაროზე, სიცოცხლეში ველარ მოგიტანენ შენი ერთადერთი დის, მზიურას შვილიშვილები თავიანთი პაწაწინა ხელებით გაზაფხულის თაიგულებს, რომელიც ყოველთვის გახარებდა და რომელიც უძვირფასესი საჩუქარი იყო შენთვის. ამიერიდან აღარ ეწვევა სტუმრად მოლაანთ უბანს ერთ-ერთი გამორჩეული ქალბატონი მარადი ანასაშვილი.

გჯეროდეს, შენი სახელი და გვარი თვითეული შენი კოლეგის, თვითეული ყვარლელის გულში სამარადისოდ იქნება ჩაწერილი და არასოდეს დავიწყებული. შენი სხეული მიიბარა იმ მიწამ, რომლის გარეშეც სიცოცხლე არ შეგეძლო. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს, ჩვენო მარადი. ერთს დავძენ, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტი, როგორც ჩვენი თანამოქალაქე და ყვარლის საპატიო მოქალაქე, თავმდაბალი პიროვნება, უფრო მეტს იმსახურებდი, უფრო პატივმისაგები იყავი, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევძელით, გვაპატიე...

**მეგობრების სახელით**
**დალი ტატულიშვილი**

## ლენა ლოლიაშვილი

### ასე აყვარებდა ის მოსწავლეებს თავის თავსაც და საგანსაც



სულ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი მიიბარა ყვარლის მიწამ, ქალბატონი ლენა ლოლიაშვილი, ყვარლის პირველი საჯარო სკოლის პენსიონერი მასწავლებელი, რომელმაც წლების მანძილზე მრავალი ღირსეული თაობა აღზარდა. კეთილი, პატიოსანი და ალალი გულის პატრონი – ასე შეიძლება დაახასიათოს თვითეულმა მათგანმა ეს ქალბატონი.

იყო კარგი, განათლებული ქიმიკოსი და რაც მთავარია, გააჩნდა მოსწავლეებთან მიდგომის თავისებური გზები. პენსიაზე მყოფი ჩვენთან საუბარში ხშირად იტყოდა: მე რომ ახალგაზრდა ვიყო და თავიდან ვიწყებდე ცხოვრებას, ისევ მასწავლებლობას ავირჩევდი და თანაც ქიმიის მასწავლებლობას, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თავისთავად მყარდება ურთიერთობა, თვითეული მასწავლებელი, რომელიც კარგად ფლობს თავის საგანს, ამით ის იმსახურებს მოსწავლეების ნდობას და პატივისცემას, გაკვეთილიც საინტერესო ხდება მათთვის, მით უფრო ქიმიის გაკვეთილი, რომელიც „დახუნძლულია“ ცდებით და საინტერესო ამბებით. მის თვითეულ მოსწავლეს რომ ყოველთვის ახარებდა მისი გაკვეთილი, ეს ლენა მასწავლებლის ხაიათიდან გამომდინარეც იყო. ასე აყვარებდა ის მოსწავლეებს თავის თავსაც და საგანსაც. ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა, არ ეპუებოდა ამას და მაინც მოძრაობდა; წლებს კი მაინც თავისი გააქვს და წინ ვერავინ დაუდგება. თბილ ოჯახურ გარემოში ცხოვრობდა. ორი შვილის და შვილიშვილების დედას და ბებიას, რძალიც თბილი შეხვდა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მის გვერდით იდგა და ყურადღებას არ აკლებდა, ის ამაყობდა კიდეც ამით. დასანანია, რომ შვილიშვილის გაბედნიერებას ვერ მოესწრო.

ლენა მასწავლებელო, თქვენ ისეთი კვალი დატოვეთ ოჯახში თუ სამსახურებრივ გარემოში, რომ თქვენი დავიწყება არ იქნება. თვითეულის გულში ისევ ისეთ ლენა მასწავლებლად დარჩებით, როგორიც იყავით. ნათელი ედგეს თვენს სამუდამო სასუფეველს.

**ოჯახი, მეზობლები**



# გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

## როზიზონ (სიფთაქა) მახარობლიშვილი



დადგა ივნისი, შენი დაბადების თვე – 15 ივნისს 87 წელი შეგისრულდებოდა. დასანანია, რომ ამ დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ, პატარა ბავშვივით გიხაროდა ხოლმე ეს დღე, რადგან მაშინ ყველა ერთად ვიყრიდით თავს და ბედნიერი იყავი. შენი ახალგაზრდობის წლები ყვარლის ავტოსატრანსპორტო საწარმოში გაატარე, მძღოლად მუშაობდი. ყველა შენი თანამშრომელი თბილად გიგონებს და მიწისთვის ენანები. ბოლო დროს ავადმყოფობა შემოგეპარა, მაგრამ მაინც არ ეპუებოდი. ჩვენო სიფთაქ, ამ სახელით უფრო მოგმართავდით ხოლმე შენი მეგობრები და ახლობლები, გჯეროდეს, რომ შენს მიერ დაწყებულ საქმეს გააგრძელებენ შენი შვილები; შენს შვილიშვილებს და შვილთაშვილებს უკვე თვალში მოაკლდი და სურათებით გიხსენებენ. შენი ოჯახი და შენი სანათესაო არასოდეს დაგივიწყებთ და ყოველთვის იქნები ჩვენს გულებში. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს შენს სამუდამო სასუფეველს.

**ოჯახი**

## შორენა პაპაშვილის გახსენება

### ისევ გაიხსნა იარა



მძიმე და დიდი ტკივილი იყო ჩვენთვის ანა მასწავლებლის წასვლა ჩვენგან...

ერთი წელი არც იყო გასული, კიდევ ერთი მასწავლებელი დავკარგეთ – მზია მასწავლებელი, ახლა კი შენ გვატკინე გული, ჩვენო ლამაზო, კეთილო, თბილო ადამიანო! რა მოულოდნელად გიმტყუნა ბედმა, ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ადამიანი, წამიერად გიმსხვერპლა დაუდევრობამ!

დიდია ჩვენი ტკივილი, გემშვიდობებით, შენი ხსოვნა და სიყვარული, მუდამ დარჩება სანავარდოს მასწავლებლებში და მოსწავლეებში.

**სანავარდოს საჯარო სკოლის**
**პედკოლექტივი**

**შპს „მედია-ცენტრის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, ღირსების ორდენის და სახელმწიფო ლიტერატურული პრემიის კავალერი, ყვარლის საპატიო მოქალაქე, გაზეთ „ყვარლის“ ყოფილი კორესპონდენტი მარადი ანასაშვილი და მწუხარებაში თანაუგრძნობენ მის ოჯახს და ახლობლებს.**

## როგორ უნდა აარჩიოთ მწვანე ლობიო ისე, რომ სახლში მიტანილი უხეში არ გამოდგეს



წლის ამ სეზონზე აქტუალურია ახალი, მწვანე ლობიო. ხშირად მასაც იყენებენ აჯაფსანდალის მოსამზადებლად. ახალი ლობიო საკმაოდ სასარგებლო პროდუქტია, მასში ბევრი ცე ვიტამინი და ბეტაკაროტინია, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად უზრუნველყოფს ახალგაზრდობის შენარჩუნებას და თმის სიჯანსაღეს, თუმცა რაც უფრო ნედლია ეს პროდუქტი, მით უფრო მეტია მასში აღნიშნული სასარგებლო ნივთიერებები. ამიტომ არჩევანი ყიდვისას აუცილებლად ნედლ და ახალგაზრდა ლობიოზე უნდა გააკეთოთ, მით უფრო, რომ გვიან დაკრეფილი მწვანე ლობიო საკმაოდ უხეშიცაა. ალბათ არაერთხელ გქონიათ შემთხვევა, რომ თქვენს მიერ ბაზარში არჩეული და უკვე სახლში მოტანილი მწვანე ლობიო, მოხარშვის შემდეგ ძალიან უხეში გამოდგა, ასეთი პროდუქტით მომზადებული კერძის მირთმევა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ გასწავლით მწვანე ლობიოს ყიდვისას გასათვალისწინებელ რამდენიმე ხერხს, რომ სასარგებლოსთან ერთად გემრიელი კერძი გამოგივიდეთ.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია ლობიოს ზომა, ის არ უნდა იყოს ძალიან ფართე, უმჯობესია თუკი არჩევანს ისეთ ლობიოზე გააკეთებთ, რომელიც არ იქნება 1 სანტიმეტრზე მეტი სიფართის. ასევე გაითვალისწინეთ ლობიოს ფერიც, რაც უფრო მუქი მწვანე ფერისაა ლობიო, მითუფრო ნედლი და შესაბამისად სასარგებლოა ის. ახალგაზრდა ლობიოს ზედაპირზე არ უნდა შეიმჩნეოდეს შიგნითა მარცვლები, ამიტომ არჩევანი გააკეთეთ ისეთ პროდუქტეზე, რომელზეც თითის გასმისას არ იგრძნობა ამობურცულები. გადატეხვისას ის მარტივად უნდა ტყდებოდეს და გამოსცემდეს მკვეთრ ხმას. დაბერებული ლობიო არ გადატყდება მარტივად, გადატეხვის შემდეგ კი შესამჩნევი იქნება ძაფები, რომელიც აუცილებლად გაგიფუჭებთ კერძს. გახსოვდეთ, რომ მწვანე ლობიო საკმაოდ დაბალკალორიული პროდუქტია და თუ წონას უჩივით, შეგიძლიათ ხშირად მიირთვათ ის, განსაკუთრებით სეზონზე, თუმცა თუ მწვანე ლობიოს მოყვარულები ხართ, გაითვალისწინეთ, რომ გაყინულ ლობიოშიც შენარჩუნებულია სასარგებლო თვისებები. ამიტომ შეგიძლიათ გაყინოთ და მთელი წლის განმავლობაში მიირთვათ ის.



## ქრონიკული გამოუძინებლობა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს ზრდის

დიდი ხანია ცნობილია, რომ ძილის დეფიციტი გულთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს იწვევს. თუმცა, ბოლო პერიოდამდე გაურკვეველი იყო მოლეკულურ დონეზე რა კავშირია ამ ორ პრობლემას შორის.

კოლორადოს უნივერსიტეტის მკვლევრებმა ბოულდერში (აშშ) ივარაუდეს, რომ ძილის ქრონიკული დეფიციტის შედეგად შესაძლოა ქვეითდება იმ მიკრო რნმ-ის მოლეკულების კონცენტრაცია, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სისხლძარღვთა ჯანმრთელობის რეგულაციაში და გულ-სისხძარღვთა ფუნქციის სპეციფიკურ ბიომარკერს წარმოადგენს.

ახალი კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა გააკონტროლეს სისხლში მოცირკულირე ანთების საწინააღმდეგო მიკრო რნმ-ის მოლეკულები როგორც ძილის დეფიციტის მქონე 12 ჯანმრთელ პირთან (7 საათზე ნაკლები ეძინათ დღე-ღამეში), ასევე ნორმალური ხანგრძლივობის ძილის მქონე მეორე 12-კაციან ჯგუფთან.

ალმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის წევრებს აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალი ჰქონდათ მეორე ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით. ეს კი, მეცნიერთა განმარტებით, ნიშნავს იმას, რომ ძილის დეფიციტით გამორჩეულ პირებს შესაძლოა ორგანიზმში განუვითარდეთ ანთებითი პროცესი, რომელიც თავის მხრივ აუარესებს სისხლძარღვთა ფუნქციას და იწვევს გულთან

დაკავშირებულ პრობლემებს.

**თინათინ გოცაძე**
mkurnali.ge

# თავისუფალი ჭიდაობა



## ზურაბ იაკობიშვილი ტურნირის ჩემპიონია

კვლავ გაგვახარა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა და მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონმა ზურაბ იაკობიშვილმა.

უკრაინაში ჩატარებულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაამარცხა და ღირსეულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონის ტიტული (მწვრთნელები: გ. მეტრეველი, ვ.ჭანტურიძე).

## ბაღდადის ტურნირზე ჩვენმა მოჭიდავეებმა გვასახელეს

1-3 ივნისს ქ. ბაღდადში ჩატარდა ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატის ლევან ებანოიძის და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ავთანდილ გურგენიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების უძლიერესი მოჭიდავეები. მათთან ერთად მოწვეულნი იყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ ოსეთის და ჩეჩენ-ინგუშეთის წამყვანი სპორტსმენები.

აღნიშნულ ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 38 კგ.წონით კატეგორიაში დ. ჭუნაშვილი, მან 5 ჩატარებული შეხვედრიდან ხუთივე ისე მოიგო, რომ მეტოქეებს არ მისცა ქულის აღების შესაძლებლობა (მწვრთნელი ბ. სამიტაშვილი).





ტურნირის ჩემპიონი გახდა აგრეთვე 44 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე ივანე ტურაშვილი (შილდის №1 საჯარო სკოლა, მწვრთნელები: მ. როზომაშვილი, ვ. ჭანტურიძე). ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: 26 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი მელქოშვილმა (მწვრთნელები ვ. ჭანტურიძე, მ. როზომაშვილი, გ. მეტრეველი) და 68 კგ. წონით კატეგორიაში – საბა დათუკიშვილმა (მწვრთნელები: გ. მეტრეველი, ვ. ჭანტურიძე).

**ალეკო ქაფიანიძე**

## მილოცვა



### ტარიელ გრატიაშვილს!

ძვირფასო მეგობარო, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. უფალმა გიმრავლოს შვილები და შვილიშვილები.

**მეგობრები**

### ქალბატონ ნათელა რაზმაძეს!

ჩვენს საყვარელ დედას და ბებიას ქალბატონ ნათელა რაზმაძეს ვულოცავთ 80 წლის ღირსშესანიშნავ იუბილეს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ჩვენთან ერთად სიხარული ყოფილიყოს ყოველთვის თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გფარავდეთ უფალი.

**შვილები ბეჟან და ლალი ქაფიანიძეები, შვილიშვილები: ზვიად და ნინო ქაფიანიძეები, თეა, გიორგი ბუჯიაშვილები, შვილთაშვილი მარიამ ხაჩირაშვილი.**

## საგაზაფხულო სპარტაკიადამ გამოავლინა გამარჯვებულები

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციის თაოსნობით საგაზაფხულო სპარტაკიადა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ყვარლის საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების მასწავლებლები ასაკობრივი შეზღუდვების გარეშე.

მაგიდის ჩოგბურთში ვაჟებიდან პირველი ადგილი შაქრო კანდელაკმა (კუჭატნის საჯარო სკოლა), ხოლო მე-2 ადგილი კახა გიორგაშვილმა (ზინობიანის საჯარო სკოლა) დაიკავა; გოგონებიდან პირველი ადგილი დაისაკუთრა ელიზა ფილიშვილმა (კუჭატნის საჯარო სკოლა), მეორე ადგილი ლალი მინდიაშვილმა (ზინობიანის საჯარო სკოლა), ხოლო მესამე ადგილი მაია ხოზრევანიძემ (ზინობიანის საჯარო სკოლა).

საინტერესოდ წარიმართა ნარდში შეჯიბრი და ჩემპიონი გახდა კახა გიორგაშვილი (ზინობიანის საჯარო სკოლა), ხოლო მეორე ადგილი ვანო თათუნაშვილმა დაიკავა (კუჭატნის საჯარო სკოლა).

გოგონებიდან პირველი ადგილი მარინა ლაფაურს ერგო (სანავარდოს საჯარო სკოლა),

მეორე ადგილი ლიდა მარტიაშვილს (სანავარდოს ბაღი), მესამე ადგილი რუსუდან ქანდაურიშვილს (ყვარლის მეორე ბაღი).

დაძაბული ბრძოლა გაიმართა ფრენბურთში პირველობისათვის. ვაჟებიდან პირველი ადგილი დაიკავეს ჩანტლისყურეს საჯარო სკოლის, ხოლო მეორე ადგილი – კუჭატნის საჯარო სკოლის ფრენბურთელებმა.

გოგონებში პირველი ადგილი ღირსეულად მოიპოვა ჭიკაანის ბაღმა, მეორე ადგილი – ჩანტლისყურეს საჯარო სკოლამ, ხოლო მესამე ადგილი – ბალღოჯიანის საჯარო სკოლამ.

ბაგირის გადაძლევაში ყველას აჯობა კუჭატნის საჯარო სკოლამ, მეორე ადგილი დაიკავა ჩანტლისყურეს საჯარო სკოლამ.

გოგონებიდან პირველი ადგილი დაიკავა ბალღოჯიანის საბავშვო ბაღმა, მეორე ადგილი – ზინობიანის საჯარო სკოლამ და მესამე ადგილი – ჩანტლისყურეს საჯარო სკოლამ.

სამჭიდში გოგონებიდან პირველი ადგილი ნინო ლაცაბიძეს ხვდა წილად (სანავარდოს საჯარო სკოლა), მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს გაჯიევმა – ჩანტლისყურე და პართენიშვილმა – გავაზის ბაღი.

ვაჟებიდან სამჭიდში პირველი ადგილი ერგო აბილ ქარიმოვ მარსელას (ჩანტლისყურეს საჯარო სკოლა), მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს კანდელაკმა (კუჭატნის საჯარო სკოლა)გიორგაშვილმა ზინობიანის საჯარო სკოლა.

საერთო შედეგების მიხედვით

პირველ ადგილზე გავიდა კუჭატნის საჯარო სკოლა;

მეორე ადგილზე – ჩანტლისყურეს საჯარო სკოლა;

მესამე ადგილზე – ზინობიანის საჯარო სკოლა;

მეოთხე ადგილზე – სანავარდოს საჯარო სკოლა.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

## დაიხსომეთ! მომავალში შილდა იამაყებს ამ პატარა ბიჭის სახელით

უდიდესი ტრადიციების მქონეა ჩვენი სოფელი შილდა, რომელმაც თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უამრავი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა ქვეყანას. უდიდესი სიამაყის გრძნობით გვინდა დღეს ერთი მათგანი გაგაცნოთ.

დავითი (დათა) პეტრუზაშვილი შილდის მეორე საჯარო სკოლის მე-2 კლასის გამორჩეული და წარმატებული მოსწავლეა, რომელმაც უკვე მოასწრო თავისი სოფლისა და ქვეყნის სახელის საზღვრებს გარეთ გატანა. მან მონაწილეობა მიიღო ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ საერთაშორისო კონკურსში „მიკსიკეპრანგლიმინე„. ეს არის შეჯიბრი ზეპირ მათემატიკურ ანგარიშში.

დათამ მონაწილეობა მიიღო I-III კლასის კატეგორიაში და მოხვდა საქართველოს ათ ფინალისტს შორის. 2 თებერვალს, ქუთაისში, აჯობა ყველას, თავისზე დიდებსაც და გახდა საქართველოს ჩემპიონი. ამ გამარჯვებით მან მოიპოვა საერთაშორისო ფინალში ასპარეზობის უფლება. სიხარული დიდი იყო მოლოდინი უფრო მეტი...

ფინანსური დახმარება არ გამოჩნდა და მშობლებმა, როგორც იქნა, შეძლეს ბავშვის ევროპაში ჩაყვანა. და აი, ესტონეთის ქალაქი კილინგი – ნიომე, სადაც საქართველოს ღირსებას სამი მოსწავლე იცავდა. თითო ასაკობრივი ჯგუფი 30 მოსწავლით იყო წარმოდგენილი. IX კლასელებმა მე-20 და 21-ე ადგილი დაიკავეს, მე-2 კლასელმა დათამ კი მე-15 ადგილი მოიპოვა. მან საუკეთესო პირადი შედეგი აჩვენა და მაქსიმალური შედეგის გამეორებით დაასრულა ევროპის საერთაშორისო ფინალი.

დაიხსომეთ! მომავალში შილდა იამაყებს ამ პატარა ბიჭის სახელით, რადგან მას უკვე შეარქვეს ვუნდერკინდი.

მთელი სოფლის სახელით, სულითა და გულით ვულოცავთ პატარა დათას ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ უფრო მაღალი მწვერვალების დაპყრობას. გვეამაყები ჩვენო პატარა ვაჟკაცო და ვისურვებდით, ღმერთმა უმრავლოს შილდას და სრულიად საქართველოს შენნაირი ღირსეული ბავშვები, რადგან როგორც ბრძენკაცს უთქვამს „ბავშვი სათავეა, დასაწყისი დიდი ადამიანისა“.

**ლუიზა დავითაშვილი,**
**შილდის I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი**

## მწვანე პომიდორი ვარიკოზული ვენების სამკურნალოდ!

მწვანე პომიდორი ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა ვარიკოზული ვენების სამკურნალოდ, თუმცა ამის შესახებ ბევრმა არც იცის. ვარიკოზული ვენები ხშირად თავს იჩენს სხეულის ისეთ ნაწილებზე, როგორიცაა: ხელები, ფეხები, ან სულაც სახე. ეს პრობლემა ბევრ ადამიანს აწუხებს, ამიტომ ჩვენ გასწავლით, როგორ უმკურნალოთ მას.

### I მეთოდი:

აიღეთ მწვანე პომიდორი (ერთი ან რამდენიმე ცალი), დაჭერით მრგვალ, თხელ ნაჭრებად და 2 წუთის განმავლობაში პრობლემატურ ადგილას დაიდეთ. აუცილებელი პირობაა, რომ პომიდორი იყოს მკვახე და მწვანე შეფერილობის, რადგან სწორედ ასეთი პომიდორი შეიცავს უნიკალურ სამკურნალო ნივთიერებას – სოლანინის. მწიფე, წითელი პომიდორი კი კარგავს ამ ნივთიერებას.

სოლანინი – ეს გახლავთ ბუნებრივი შხამი, ამიტომაც არ არის რეკომენდებული მკვახე ბოსტნეულის ჭამა. თუმცა, ვარიკოზული ვენების სამკურნალოდ იდეალურ საშუალებას წარმოადგენს.

ამგვარად, გაიმეორეთ ეს პროცედურა დღეში 2-ჯერ, 10 დღის განმავლობაში. პროცედურის შემდეგ სასურველია, პრობლემურ ადგილას დამატენიანებელი კრემი წაისვათ, რადგან პომიდვრის წვენი კანს აშრობს.

### II მეთოდი

მკვახე პომიდვრის გარდა, ვარიკოზულ ვენებს ვაშლის ძმარიც გაგიქრობთ. ამისთვის ბამბის ტამპონი დაასველეთ ნატურალურ ვაშლის ძმარში და გაიწმინდეთ პრობლემური ადგილი. ეს პროცედურა დღეში 3 ჯერ, 1 თვის განმავლობაში გაიმეორეთ. ვაშლის ძმარი ეფექტურად შეამცირებს სისხლძარღვების პრობლემებს.

## ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტზე დაუშვებელია მიეთითოს ავტორის გვარი).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

ორი პირველი პრემია – 1500-1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ნიალისაგან“;

მეორე პრემია – 700 ლარი – შპს „ნიალისაგან“;

სამი მესამე პრემია – 500-500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და შპს „ნიალისაგან“;

იმის გამო, რომ რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობაში გაიზარდოს პოეზიისადმი ინტერესი, წელს, პირველად, მათთვის, დაწესებულია სამი წამახალისებელი პრემია:

პირველი პრემია – 500 ლარი;

მეორე პრემია – 400 ლარი;

მესამე პრემია – 300 ლარი.

სამივე პრემია დაწესებულია შპს „ნიალისაგან“.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მოსწავლეს, გარდა დამამთავრებელი (მე-12) კლასისა.

გამარჯვებულთა საზეიმო წარდგინება მოხდება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის ოქტომბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით, არაუმეტეს 5 ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.

ტელ. 5 99 97 95 24

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86